


სალიტერატურო და სამეცნიერო ნახატებიანი გაზეთი. გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 45 ოქტომბერი, 22 1895 წ.. 45

შინაარსი: წეს-რიგი საიუბილეო დღესასწაულისა.—თ. რ. ერისთავს, ლექსი საჯავახოელისა.—თ. რაფიელ ერისთავი როგორც პოეტი, მაზაკვალისა.—თ. რ. ერისთავს თ. რაზიკაშვილისა.—წიგნი რ. ერისთავთან მიწერილი ქუთაისის სათავად-აზნაურო შკოლის მოსწავლეთაგან.—რაფიელ ერისთვის საიუბილეოთ სილოვანისა.—თავადი რაფიელ დავითის ძე ერისთავი და მისი სალიტერატურო მოღვაწეობა) ჯ. დოდაშვილისა.—რაფიელ ერისთავს, ლექსი მოსწავლე მეგრელისა, ა. ნაჭყებიასი.—რაფ. ერ., ლექსი მოსწავლე მეგრელის კაკულიასი.—საყურადღებო ამბები.—ორმოცდაათი წლის მიცვალების პანაშვიდი ნ. ბარათაშვილისა გ. წერეთლისა.—დაგვიანებული წერილი—და მცირე რამ შენიშნა (დასასრული) გუდუ თოფურიასი. ნ. ბარათაშვილი ლექსები და წერილები (ბიბლიოგრაფია) ფხასი—განცხადება.

## წეს-რიგი საიუბილეო დღესასწაულისა

1) ოქტომბრის 22-ს, 11 საათზე ყველა დეპუტაციები და პატივისმცემელნი მოგროვდებიან ქაშვეთის ეკლესიის გალავანში.

2) $11^1/_2$ საათზე იუბილარს მოიყვანენ ეტლით ქაშვეთის ეკლესიის გალავანში თ. აკაკი წერეთელი და თ. ილ. ჭავჭავაძე.

3) პარაკლისს ვადიხდის ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე და შემდეგ იუბილარს წაიყვანენ იმავე წესით ქართული თეატრის დარბაზში.

4) პარაკლისის გათავებისათანავე დეპუტაციები გაემგზავრებიან ქართული თეატრის დარბაზში იუბილარის დასახვედრათ.

5) დარბაზის დერეფანში იუბილარს მიეგებება სამხედრო ხორო მუზიკისა, ხოლო თვით თეატრის დარბაზში გურულთა და რაჭილის მომღერალთა დასები.



თ. რ. ერისთავი.

6) ამას შემდეგ დაიწყება დეპუტაციების მილოცვა დადგენილი წესისამებრ.

7) საღამოს 8 საათზე დანიშნულია იუბილარის პატივსაცემათ ქართული წარმოდგენა. ანტრაქტებში წაიკითხვენ თ. რ. ერისთავის ლექსებს.

8) წარმოდგენა რომ გათავდება, შემდეგ ქართული დრამატული საზოგადოება და დასი გამართავს სადღესასწაულო მილოცვას.

9) შემდეგ გაიმართება თავადაზნაურთა საზამთრო ბაღში ნადიმი.

## თ. რ. ერისთავს

(50 წლის იუბილეის გამო)

სადაც შობილხარ, გაზდილხარ
და გისროლია ისარი,
სად მამა პაპის გეგულვის
საფლავი, კუბოს ფიცარი",
სადაც ქართველი კი ცხოვრებს
სულ ყველა კუთხე-სოფელი
გიყვარდა სულზე უტკბესათ
გძაგდა მის უარ-მყოფელი...
რაგინდ შეგმოსონ დიდებით,
წარჩინებულ გყონ სხვებზედა,
სამშობლოს „კლდესაც არა ცვლი
სხვა ქვეყნის სამოთხეზედა".
„სამშობლო, ძუძუ დედისა
არ გაიცვლება სხვაზედო,
როგორც უფალი, სამშობლოც
ერთია ქვეყანაზედო".
ასე ხატავდი სამშობლოს
სიყვარულს, წმიდა სულითა,
სულ-აგზნებული შენგანა
ჩვენც თანაგიგრძნობთ გულითა.
დღეს გუნდი ყველა ქართველთა
შენსკენ ისწრაფვის კვალადა,
რომ „ვაშა", „ვაშა" შეგძახონ,
თელიან მას წმიდა ვალადა.
იყო დრო, როცა ქართველი
ფარ-ხმლით სამშობლოს იცავდა,
მტერს ქლეტდა, მტერიც მათ ქლეტდა,
ამ გვარათ სისხლში ცურავდა.
სწავლისთვის ვილას ეცალა,
მტერი საომრათ იწვევდა,
ყველა ხმლის ქნევას სწავლობდა,
სამშობლოს ხსნის წესს მიდევდა.
ეს დრო უკუდგა, იამების
სახელიც აღარ ისმოდა,
ხანჯალს აერთვა პატივა,
თოფს ვინ რაზედლა ისროდა?
დადგა დრო მოსვენებისა,
უსაქმურობა გახშირდა,
ქართველნი ღრმა ძილს მიეცენ,
გამოღვიძება დაჭირდა.
აი, პოეტო, შენც ამ დროს
ზეცამ დაგნიშნა განგებით,
ჩადექი ხალხში ქადაგათ,
უცხო რამ ტკბილი ჰანგებით.
ქართულათ ჩანგი მომართე,
დააწყებინე ქღერანი,
სალბუნათ წყლული გულისა,
მორთე იმაზე მღერანი.
ეს ხმა გულს გვწვავდა ყველასა,
არ ჩაიარა უქმათა,
ზეციურ თესლით რაც თესე
ნაყოფი მოგვეც უხვათა.
ამას დღეს გულით ყველა გრძნობს
სულ საქართველო მთელათა,
და ყოველ კუთხით მოგმართვენ
მადლობის მოსაძღვნელათა.
გამხნევდი კვალად პოეტო!
ღონე მოიეც გმირულათ,
დღეს გწადს მოძღვარი შეგიტკბოთ,
მიგვიღე მამა-შვილურათ.
ქართველთა გული სავსეა
დღეს შენი სიყვარულითა,
გთხოვთ, ერთათ ჩვენთან შენს გულსაც
აამე სიხარულითა.
თუმც ბევრნი შენებრ ძვირფასნი
შავმა დრომ დააშამათა,
შენცა სამშობლოს კაეშანს
ნუ ჩაიყოლებ შხამათა.

რ. საჯაოხელი

## თ. რ. ერისთავი, როგორც პოეტი

დღეს საქართველოს ერი დღესასწაულობს თავის საყვარლის პოეტის ორ-მოც-და ათი წლის მოღვაწეობას ქართულ სალიტერატურო ასპარეზზე. ნახევარი საუკუნის შრომის ნაყოფს რომ მოსწრებოდეს ვინმე ქართველი სამშობლო სიტყვიერებაში, ამის მნახველი ჯერ არავინ ვართ. მით უფრო შესანიშნავი და სახარბიელოა ასეთი დღესასწაულობა. გადავავლოთ თვალი ამ ორ-მოც-და-ათის წლის ნაღვაწს და ჩვენ დავრწმუნდებით, რომ ჩვენი დაუვიწყარი პოეტი ყოფილა დამსწრე მეცხრამეტე საუკუნეში ქართველთა გონების პირველ თვალის ახელისა. მას თავის სიცოცხლეში თან უტარებია ქარ-

თული ლიტერატურის ბედი და უბედობა, მისი ტანჯვა და სულმობრძაობა, მისი შავი უკუნი და მასთან დრო-გამოშვებით მას უნახავს შიგ შეჭრილი მზის შუქი, რომელსაც ჩვენი პოეტი ალტაცებაში მოუყვანია და უთქმევინებია, იქნება ქართველთა გონების განვითარების საქმე სულ არ ჩაილუპოს იმ უფსკრულს, უძირო უკიანეში, რომელიც უცხო კულტურის ელფერით გარშემოდგომოდა ქართველთა გონების განვითარებას. დიდი და ხანგრძლივი უნდა ყოფილიყო ის ტანჯვა სამშობლოს მოტრფიალისა, როცა შეხედავდა რომ თვით--არს ქართველის ჭკუა-გონებას მოაკლდა ამდენი საუკუნეების ნავარჯიშევი განვითარება. თავისებური ალმაფრენა მისი შეიბოჭა და შეიჭედა კარგაულებელს რკინის გალიაში. მაგრამ ჩვენი პოეტი იმასაც მოესწრო, რომ ქართველის მიძინებულს გულისხმას დაუდგა განთიადი, ისევ მოფრინდა ქართველი მუზა და მდუღარე ცრემლით მოთქვა თავისი შავ-ბედი. მეორმოცე და მეორმოცდა-ათე წლებში აჭიკჭიკდენ ქართველი მგოსნებიც, ბრწყინვალეთ ჩაერაზმენ სოლომონ დოდაშვილი, გრიგოლ ორბელიანი, გიორგი ერისთავი, ვახტანგ ორბელიანი და მგოსანთა მეფე ნიკოლოზ ბარათაშვილი. იჩინა თავი ქართულმა სიტყვა-კაზმულმა მწერლობამ. მოიმარჯვეს კალმები და დაუკრეს ბუკი ჩვენი ერის გამოსაღვიძებლათ და იმის გულჩასახვედომათ ჭონქაძემ, რჩეულიშვილმა, არდაზიანმა და მათთან ივანე კერესელიძემაც. ნუ თუ ამდენ ბრწყინვალე მამულის მებრძოლ გუნდში არ უნდა ჩარეულიყო ჩვენი საყვარელი მგოსანი და დღეს მეიუბილარე, თ. რაფაილ ერისთავი? დიაღ, იკრიალა მისმა ხევსურულ-კახურმა ხმამ, მაგრამ, აბა, მიიღებდენ კი მოძმენი იმ მგოსანს, რომელსაც სულ სხვანაირათ ესმოდა საგანი პოეზიისა?—არა. ამას მხოლოთ წელში გამწყდარ მშრომელ ხალხისთვის უცემდა გული. ის მათი წრის არ იყო და ვერც გააგებინებდა მათ თავის გულის გადმონაჩქეფს. მაშინ ისეთი დრო იყო, რომ სიტყვა-კაზმულ ლიტერატურაში და ლექსთა თხზვაში პოეტები უფრო გაკრიალებულ, გადაპრეხილ სიტყვებს ანდომებდენ თავის ნიჭს; იმათ კარგი ლამაზი სიტყვა აზრსაც ერჩიათ და თავსაც. მაღალი ფრაზები, ღრმა გაუგებარი სიტყვებით გამოთქმული, აი, საგანი მათი ჩანგისა. როგორც თვითონ იყვენ მაღალი წოდებისა, ისე მათი ლექსებიც მაღალ ფარდებში დაფრინავდენ. რაფიელ ერისთავი თუმცა მოხარული იყო პატარა წრეში გონების გამოფხიზლებისა, მაგრამ მისი ქნარისთვის ჯერ კიდევ დრო არ იყო მომწიფებული, მის საგანს პოეზიისას ჯერ კიდევ ნიადაგი არ ქონდა და არცარავინ [illegible] და თანამგრძნობი.

„ძნელი არის მარტოობა სულისა,
მას ელტვიან სიამენი სოფლისა...“

თუ რამდენი დაცინება და ტანჯვა კისრათ უნდა აელო ჩვენს დაუვიწყარს მგოსანს მაშინდელ სიტყვა-მძიმე და სიტყვა-მჭევრ მოლექსეებისაგან, ამას შემდეგი ამბავი გვიმტკიცებს: თფილისის საოპერო თეატრში მეორმოცდაათე წლების გასულს იყო გამართული საქველ-მოქმედო წარმოდგენა, რომელშიაც დაესწრო მთელი მაშინდელი უმაღლესი ქართველი წოდება და მწერლობა. სხვათა შორის სცენაზე თამაშობდა თურმე თ. რ. ერისთავი. მისმა შვენიერმა თამაშმა მოწონების ტაში გამოიწვია. ყაფლან ორბელიანმა ვეღარ მოითმინა და ლოჟიდან ხმა-მაღლა გადმოიძახა: „დახე ამ უნიჭოსა, აკი, იმანაც არ გააცინა საზოგადოება?!.“ აბა, იფიქრეთ, ამას შემდეგ რა აბუჩათ აგდებული უნდა ყოფილიყო თ. რ. ერისთავი იმ თანამედროვე მწერლებისაგან, რომელნიც ძალიან იჭვის თვალით უყურებდენ მათ მიერ ცნობილს პოეტს. მაგრამ გავიდა ორმოცი წელიწადი მას აქეთ და ახლა არც ერთი მივარდნილი საქართველოს კუთხე არ მოიპოვება,—გინდ ფშავ-ხევსურეთის მიუვალი კლდეები აიღეთ, —გინდა სვანეთის მთათ-სავანეები,—საცა არ გაისმოდეს პაწია მოზარდ თაობაში ჩვენი იუბილარის ლექსები.

ძალიან ცოტაა ისეთი მოღვაწე, რომ თანამედროვე საზოგადოებისაგან დევნული, და სიცოცხლე დამწარებელი ყოფილიყოს და მოსწრებოდეს ბოლოს ისეთ თაობას, რომელსაც განეხორციელებიოს მისი აზრები და დაეფასებინოს მისი ღვაწლი. ასეთს ბედნიერს კაცს წარმოადგენს ჩვენი საყვარელი ღრმათ მოხუცებული მგოსანი.

ქართულ ლიტერატურაში ჯერ კრიტიკის მიერ არ დაფასებულა თ. რ. ერისთავი, როგორც მეთაური და საერო პოეზიის შკოლის დამაარსებელი. მაგრამ მითხარით, სხვა კი ვინმე დაფასებულა და შესწავლულა?.. ასეთია გონების სიღარიბე ჩვენი თანამედროვე თაობისა. ამის მიზეზი მრავალია, მაგრამ ერთი უალრეს მიზეზთაგანი ის არის, რომ ჩვენს ლიტერატურულს მოღვაწეებს აკლიათ ისტორიული ცოდნა მემკვიდრეობითი ლიტერატურის წინ მსვლელობისა. ასეთი უცოდინარობის გამო დღეს ყოველი ქართველი მწერალი ფიქრობს, რომ მხოლოთ მისი გამოჩენის დროიდან დაწყებულა ქართული ლიტერატურა. თუ მაზე წინ ვისმე რამე უკეთებია, ამის გაგება არა აქვთ და ვერც წარმოიდგენენ. აი, ამის შედეგია დღეს ქართულ ლი-

ტერატურაში კრიტიკის არქონეა, მისი სიძაბუნე, სიღარიბე: თუ უკაცრავათ არ გახლავარ...

თ. რ. ერისთავი მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში შემაერთებელი ხიდია ერთი მხრით ნ. ბარათაშვილისა და ილ. ჭავჭავაძესა და მეორე მხრით აკაკი წერეთელსა და ა. ყაზბეგს შორის. მისი ლექსთა თხზვა, ესე იგი გარეგანი სამკაული აზრისა და შინაარსი, ესე იგი სული პოეზიისა აღბეჭდილია საერო, სახალხო თვისებით. მხოლოთ თ. რ. ერისთავს შემდეგ არის ნათლათ გასაგები და საგულისხმო აკაკი წერეთლისა და ალ. ყაზბეგის მოვლენა ჩვენს ლიტერატურაში. თ. რ. ერისთავს უჭირავს თავის საკუთარი წრე ქართულ პოეზიაში. მისი ენა, მისი გრძნობა და მისი იდეალი ნამდვილათ ხალხის გრძნობა და იდეალია იმდენათ, რამდენათაც თვით ქართველ დაბალ ხალხს ესმის აქამომდე თავის საკუთარი ჭირ-ვარამი. რაფიელმა უკვე შექმნა თავისი შკოლა პოეზიისა, მან შემოიტანა ახალი ნაკადული ფშავ-ხევსურეთის და მთიულთა ლიტერატურული კილოსი. მის მიერ გაკვალულ გზას გაჰყვენ პოეზიაში ძმანი რაზიკაშვილები, მღვიმელი, აფშინაშვილი, და სხვ.

მაზაკვალი.

---

## თ. რ. ერისთავს

ფშავით გიბარებ ფშაველი
ახლათ წვერ-შამამდინარი:
ფანდურზე დავმღერ შენს ლექსსა,
თვალებს მწვავს ცრემლი მდინარი.
ვაჟას ვეხვეწე, წამოვალ,
ვევებ მაცნობო, ვინ არი:
შენი მაჩვენა სურათი—
ბერი დიდებით მჩინარი!
ვნატრულობ გნახო თვალითა,
სიზმრათაც მამეჩვენები!
მენაც სკოლისაკ ვიწიე,
მაგრამ გაჯავრდენ ჩვენები,—
არ გამამგზავრეს: ჯოგისა
უნდა აძოვო ცხენები;
დავრჩი და დავრჩი ცხვარშია,
ვიზრდები გარესამხარსა;
კითხვა ვისწავლე თვითონა,
წიგნებს ვშოულობ ნახმარსა.
ქალაქზე ჩამოვისერე,
ვკითხულობ შენსა ამბავსა,
ღირსი არავინ გამხადა,
მოხუცო, მე შენს ნახვასა,
ლექსისა არა დამძრახო,
ვერცარას ვამბობ ნარზედა,
საკაფიოდ *) არ მცალის,
ცხვარი მყავ ქავთრის მთაზედა,
აღარ გამიშვეს ფშავშია,
რავქნა, დავწუხდი ძალზედა!
მაგონდებიან სწორები,
ცრემლი მადგება თვალზედა!
ხუთთავ ძმათ რაზიკაშვილთა
მოკითხვა შამოგითვალეთ,
შენ სადღეგრძელოც დავლიეთ,
ყანწები გამოვიცალეთ,
ისევ გვიყვარხარ და ისევ,
გული არ გამოვიცვალეთ!!.

თ. რაზიკაშვილი

---

*) კაფია— ხელდახელ ნათქვამი ლექსი.

---

## წიგნი, რაფაელ ერისთავთან მიწერილი ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის მოსწავლეთაგან

ჩვენო საყვარელო მოძღვარო,
მკვირფასო ბოლტო რაფაელ!

ჩვენი სიღარიბე, რომელიც შეიძლება თქვენც მოგეხსენებოდესთ, გვაბედვინებს ასე მცირე ძღვენის მორთმევას.

თუმცა ჯერ ერთობ მცირე წლოვანები გახლავართ, მაგრამ კარგათ გვესმის, რომ თქვენისთანა მოღვაწე სამშობლო ენისა და მამულის სიყვარულისა

და სამსახურეში მოხუცებული ღირსია თავის თანა-მემამულეთაგან თაყვანისცემისა. ჩვენც გვწადია, გა-მოვაცხადოთ ჩვენი გულისპასუხი, ჩვენი გულისთქ-მა:—გთხოვთ, მიიღოთ ეს მცირე ძღვენი ნიშნათ ღრმა პატივისცემისა და გულითადი სიყვარულისა.

ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის მოწაფენი.

## რაფიელ ერისთვის საიუბილეოთ

(ქუთაისის სათავად-აზნაურო შკოლის მოსწავლეთა მიმართ)

ყმაწვილნო! რათ არ კითხულობთ,
ვინ არის იგი მხცოვანი?!.
მაგრამ თქვენც იცნობთ რაფაელს,
თუმცა ხართ მცირე წლოვანი:
დიდებით განვლო თვისი გზა—
ნარ-ეკლიანი, კლდოვანი,—
სამშობლოს კიდით-კიდემდე
შეიქნა სახელოვანი.
ოფლსა ღვრის, იღვწის ქვეყნისთვის—
ორმოც-და-ათი წელია:—
ზეგარდმო ნიჭით შემკული
ტკბილი შაირების მთქმელია,
დედა-ენისა მღაღადი,
მის მზრდელი, მისი მცველია...
იმედით შესცქერს მომავალს,
რწამს, ღმერთი ჩვენი მხსნელია.
და მადლიერი ქართველნი,
დახეთ, დღეს რასა შვრებიან!
—სამშობლოს სადიდებელათ
მგოსნის ტრფობითა თვრებიან!..
მტრისა პასუხის გამცემნი—
მოყვარეს ემოყვრებიან:—
ეს თაედებია სიცოცხლის,—
ქვეყნით არადროს ქრებიან!
და თქვენც, პაწია ქართველნო,
იმო ძლვრეთ იგი მგოსანი:
იყავით მისებრ მამულის
ერთგული, პატიოსანი,
მისებრ აზრნათელ-გულწრფელი,
ვით ანგელოზი ფრთოსანი,
თუ გინდათ იყოთ ამ სოფლის
ყვავილი, ვარდი-სოსანი.

სილოვან.

## თავადი რაფიელ დავითის ძე ერისთავი

(მისი ბიოგრაფია და სალიტერატურო მოღვაწეობა.)

თავადი რაფიელ ერისთავი დაიბადა 1824 წელს აპრილის პირველს სოფელ ქისტაურ-ში. მამა მისი დავითი იყო ცნობილი და შე-ძლებული თავადიშვილი. პურადობით და სტუმართ-მოყვარეობით განთქმული იყო მისი ოჯახი მთელ კახეთში. შვენიერ ბუნებოვანი სოფელი ქისტაური, ნამდვილი ქართული ძველებური ოჯახი დავით ერი-სთავისა უმზადებდენ დავრდომილ საქართველოს არა ომში გაწაფულს მხედარს, არა დახელოვნებულ სა-რდალს, არამედ კალმით შეიარაღებულ ჭეშმარიტე-ბის მქადაგებელს, გულით და სულით ნამდვილ ქა-რთველს, ერთი სიტყვით იმას, ვინც შეუქმნა მო-ზარდ ქართველობას მეთერთმეტე დიდებული მცნე-ბა „სამშობლო ხევსურისა“... გამდელი უამბობდა პატარა რაფოს ქართულ ზღაპრებს, დედა კნეინა ნინო, ავთანდილ ამილახვრის ქალი, ასმენდა ვეფხის ტყაოსანს, უმღერდა ნანას. არა ერთხელ უამბნია საყვარელ შვილისთვის გაგონილი, ანუ წაკითხული „ქართლის ცხოვრებიდან“ გმირობა ქართველთა ძველ დროში. ხალხი კიდევ თავის ობებით, ანუ ხა-ტობით, ტირილითა და მხიარულებით შეასწავლიდა პატარა პოეტს იმ დაულეველ საუნჯეს, რომელსაც ჰქვია ინდივიდუალური ცხოვრება, ეროვნული ზნე-ჩვეულებით, ავითა და კარგით განმტკიცებული. ბე-ვრი ჩვენთაგანი შეჰნატრებს ამ შემთხვევაში მოხუც პოეტს—იგი დაიბადა, აღიზარდა თავისიანებში და მოშორდება ამ უმადურ წუთისოფელს ისევ თა-ვისიანათ. ამას იმ აზრით მოგახსენებთ, რომ ჩვენს უკუღმართს დროში არა თუ მარტო დედ-მამისა და შვილებ შორის, არამედ ცოლ-ქმარ შუაც კი მომე-ტებულ შემთხვევაში ხიდია ჩატეხილი:

ერთი-ერთმანეთისა აღარა გვესმის-რა, მისწრა-

ფებანი, ზნე-ჩვეულება, ხასიათი, ენა, სარწმუნოება და მიზანი ცხოვრებისა ხშირათ სულ სხვა-და სხვაობენ ჩვენში. ამიტომ მოხუც იუბილარს კმაყოფილებით და, თუ გინდათ, ჩვენს წინ თავ-გამოდებითაც შეუძლია პოეტ ვახტანგ ორბელიანთან ერთათ წარმოთქვას:

„ჩემთვის მამაჩემს სიმღერის ხმა სხვა უმღერია,
„აკვანი ჩემი სხვა ნანაზედ დედას ურწევია“...

ჩუმი, უწყინარი და ნიჭიერი რაფო ძრიელ უყვარდათ ოჯახში, რომელიც გარდა დედ-მამისა შესდგებოდა შვილებისაგან: რაფიელ, იოსებ, ბარბარე (შემდეგში ცნობილი მწერალი ქალი კნ. ბარბარე ჯორჯაძისა) და ანნა (კნეინა ჭავჭავაძისა.)

დედამ, შვიდის წლისა იქნებოდა რაფო, როდესაც დააწყებინა ქართული წერა-კითხვა. სამს წელს შემდეგ ერისთვიანთ მოიწვიეს თფილისიდან ქისტაურში რუსული ენის მასწავლებელი გვარათ კრასნოსკულოვი. ამას მიაბარეს რუსული ენის სასწავლებლათ რაფო, მისი ბიძაშვილი—კიაზო ერისთავი, დიმიტრი და გიორგი ჯორჯაძეები და სხვა თავადიშვილებიც. შემდეგ ყველა შეგირდები გადაჰყვენ კრასნოსკულოვს სოფელ გრემს, საცა ის დაბინავდა. ეს მასწავლებელი ძრიელ მკაცრათ ეკიდებოდა თურმე მოწაფეებს, ისე რომ, დიდ ხანს არ გაუვლია, ყველა მოშორდა რაფიელს გარდა. შემდეგ, როცა კრასნოსკულოვი გადავიდა თელავს საცხოვრებლათ, თან წაიყვანა პატარა თავადი, მაგრამ დიდ ხანს კი არ შერჩენია ეს უკანასკნელი მოწაფე, რადგანაც მამამ მიაბარია იგი თელავის სამაზრო სასწავლებელში.

ასე და ამ გვარათ პატარა რაფომ ისწავლა შვენივრათ ქართული წერა-კითხვა და ცოტა ოდნათ რუსულიც. მამამ, თავადმა დავითმა, მოისურვა ახლა შვილისათვის შეესწავლებინა სამეცნიერო საგნები სამშობლო ენაზე. ამისათვის პატარა რაფიელი, რომელიც იქნებოდა ამ დროს თორმეტის წლისა, მიაბარა თავის ძმისწულს შუა მთის მონასტერში, საცა იმ დროს დიდათ განსწავლულს ბერ-მონაზონს კიკნაძეს სასწავლებელი ჰქონდა გამართული. აქ ასწავლიდენ ყმაწვილებს საშობლო ენაზე გრამატიკას, სღვთისმეტყველო საგნებს, დიალექტიკას, რიტორიკას, საეკლესიო გალობასა და სხვას... ყოველ უქმე დღეებში წირვას შემდეგ ბერ-მონაზონი კიკნაძე წაიყვანდა ხოლმე ბავშებს მინდორში და ლექსთა თხზვაში ავარჯიშებდა მათ. აქ პირველათ გამოიჩინა პატარა რაფომ თავისი ნიჭი. აქ შეიძრა მის ნორჩ ბუნებაში ის თესლი, რომელიც დედის ძუძუსთან ერთათ ბუნებამ უწყალობა მას. აქ ბერებში შეიგნო ნორჩმა ყმაწვილმა, რა არის შრომა და მეცადინეობა. აქ გამოირკვა საგანიც მისი ცხოვრებისა.

რადგანაც ამ გვარი სწავლა ცხოვრებაში უსარგებლოთ იყო მიჩნეული მაშინ და ყველგან რუსულის მცოდნეს აძლევდენ უპირატესობას, ამისთვის თავადი დავითი ამას შემდეგ შეუდგა ყმაწვილის სახელმწიფო სასწავლებლისათვის საფუძვლიანათ მომზადებას. შუამთის მონასტრიდან მამამ გაამგზავრა შვილი ქ. გორს. და მიაბარა ხერსონის პოლკის კაზნაჩეის კაჩერგინს. ეს კაცი რიგიანის თვისებისა აღმოჩნდა.

კარგათ ექცეოდა ბავშს და ხეირიანათაც ამზადებდა. ქ. გორში ყველგან მიღებული იყო ბ. კაჩერგინი და ხშირათ დაჰყავდა პატარა მოწაფე პოლკოვნიკ ბირილიოვთან. აი, სწორეთ ამ დროს შეისწავლა კარგათ პოეტმა რუსული ენა. ორ წელს შემდეგ მამამ გადაიყვანა შვილი ქ. თფილისს და მიაბირა არზანოვის პანსიონში. იმ დროს ორნი ძმანი იყვენ არზანოვები: ერთს პანსიონი ჰქონდა, მეორეს კიდევ მასწავლებლობდა კეთილშობილთა სასწავლებელში, რომელიც ახლა პირველ გიმნაზიათ იწოდება. ამ პანსიონში დაჰყო მან სულ ექვსი თვე და მერე პოეტი მიაბარეს მასწავლებელს შიპულინს, რომელმაც თოთხმეტი წლის პოეტი დასვა მესამე კლასში, ისე კარგათ იცოდა რუსული ენა, გრამატიკა და სხვა საგნები. შემდეგ მიაბარეს ვალტერის პანსიონში და იქიდან დადიოდა კეთილშობილთა სასწავლებელში. გადავიდა მეოთხე კლასში და ამას შემდეგ რიგზე წავიდა ყმაწვილის სწავლაც. ერთ წელს შემდეგ რაფიელი და იოსები თავადმა დავითმა მიაბარა ირიცპუხოვის პანსიონში, რომელიც სოლოლაკზე იმყოფებოდა. აქედან თავადი რაფიელ ალარსად გადუყვანიათ კურსის დასრულებამდე.

1845 წელს დაამთავრა კურსი და მიიღო სიმწიფის ატესტატი. თუმცა დიდი სურვილი ჰქონდა ყმაწვილ კაცს მიეღო უმაღლესი განათლება, მარა სხვა-და-სხვა შინაურ საქმეებისა გამო ვერ მიახწია თავის გულითად წადილს და ძალა-უნებურათ ჩავება ლუკმა-პურის ჭაპანწყვეტაში.

ცხოვრების ქარიშხალმა ვერ ჩააქრო მის გულში ღვთივ ანთებული ლამპარი, ბუნება—მღელვარე სიყმაწვილემ ვერ შებოჭა, ვერ დაიმორჩილა იგი, ახალ მოდის სიომ, რომელიც იწვევდა იმ დროს ყოველ ყმაწვილ კაცს განცხრომით და ფუფუნებით ცხოვრებისკენ, ვერ სძლია მონასტრის ზღუდეთა შორის გაფოლადებული და განმტკიცებთლი მისი ბუნება, ვერ აახვეინა გზა, ვერ მოაშორა თავის სატრფიალო საგანს—„სამშობლოს“. იგი კანცელარისტობდა, როგორც ღარიბი კაცი, ცხოვრების სახსრისთვის მომუშავე, თითონ კი მთელი თავისი არსებით, სულით თა გულით შორს იყო ჰაერ-მოშხ-

მულ კანცელარიიდან, სხვას ეკუთვნოდა, დატრფიალებდა, თავს ევლებოდა სამშობლოს ყოველ კუთხეს და ამ კუთხეების მცხოვრებთა დარდით — დარდობდა, ლხინით — ლხინობდა.

მრავალ გვარია მოღვაწეობა იუბილარისა ამ ნახევარ საუკუნის განმავლობაში. სრული ბიოგრაფია და დაფასება მისი რთული სალიტერატურო მოღვაწეობისა, მასალის უქონლობისა გამო, შეუძლებლათ მიგვაჩნია ამ ჟამათ. ჩვენ აქ მოკლეთ ვეცდებით, შეძლებისდაგვარათ, გავაცნოთ მკითხველებს ჩვენი თავადი რაფიელი დავითის ძე ერისთავი, როგორც პოეტი ლირიკი, როგორც ეროტიული პოეტი, როგორც იგავ-არაკების მთარგმნელი და დამწერი, როგორც დრამატურგი და ბოლოს ლექსიკოლოგი. ჩვენ არ შევეხებით ამ ჟამათ მის სახელმწიფო სამსახურში მოღვაწეობას: ამის შესახებ ორ წელს შემდეგ მოილაპარაკებენ რუსის გაზეთები, რადგანაც მაშინ უსრულდება ამ მოღვაწეობას ორ-მოც-დაათი წელი.

როგორ ესმის თავად რაფიელს დანიშნულება პოეტისა?—ამაზე შვენივრათ მოგვითხრობს იგი ერთს თავის ლექსში—„უცნაური მეჭიანურე“, რომელიც

ჭიანურს გაჰკრავს მუსას,
როცა ეწვევა დარდია,
ან როცა ლხინობს მოყვრისას
და გულს უყვავის ვარდია!..

. . . . . . . . . . . . .

აჰა, პოეტო, სურათი
შენის სულისა, გულისა!
ცრემლიც ასეა მჩქეფარე
ლმობისა სიხარულისა...

თავად რაფიელს თავის ხანგრძლივ მოღვაწეობაში ერთხელაც არ გადაუხვევია ამ გზისთვის. პოეტი გოგიებთან, ბერუებთან, სესიებთან, თანდილებთან, თინიებთამ და სხვა მათ მოძმეებთან ერთათ დარდობს, ერთათ ლხინობს, ერთათ მოთქვამს და ჭირ-ბოროტობს!...

მისი ლექსები ნამდვილი ხალხურია. კითხულობთ ამ ლექსებს და ჰკვირობთ, როგორ შეისწავლა ავტორმა ასე დანამდვილებით საზოგადოთ ქართველ გლეხთა ცხოვრება, მათი ხასიათი, ზნე-ჩვეულება, ბედი და უბედობა. ყოველ სტრიქონში თითქო ხედავთ იმ პირებს, რომლების შესახებაც ასე პოეტურათ გვბაასებათ ავტორი. აგერ, დატკბით „თინიას მამითადით“. როგორი თანაგრძნობით, მარტივათ მოგვითხრობს მასში ავტორი ხან თინიას გასაჭირს:

ქვრივ-ოხერს, ბეჩავს თინას ჰყავს ერთად-ერთი
შვილია.
პაწია წვითა და დაგვით, ვაებით გამოზრდილია.
დღის მეხრე იყო, მოუხნეს ერთი დღის მიწა ნაოში,
მაგრამ სათესლე გაჭირდა,—არ გახლდათ საკუჭნაოში!..

ხან თითქოს გაბედნიერებულ თინიასთან ავტორიც გამოუთქმელს სიხარულს ეძლევა:

დილა ადრიან მოადგნენ კარზედ რჩეული ბიჭები,
„ჭოოპუმათი“, კიჟინით მოედვნენ ქვრივის ყანასა,—
არ შევხვედრივარ მამითადს მე არსად ამისთანასა!..

როგორი გულ-უხვობით უმასპინძლდება მუშებს მათგან დავალებული ქვრივ-ოხერი დედაკაცი და ყოველსავე ამას რა თანაგრძნობით გადმოგვცემს ხელოვანი ავტორი:

თინა მასპინძლობს გულ-უხვად, მოუტანია მჭადები,
მაწონი, ორი დედალი მუშისთვის დანამზადები...
ცოტა არ იყოს, რცხვენიან,-- ღვინო არა აქვს საწყალსა,
მაგრამ ზედი-ზედ უზიდავს მამითადს წყაროს ცივს
წყალსა...

რა შვენიერება რამ არის ლექსი „თანდილას დარდი“, რომელშიაც გლეხი თანდილა უჭირისუფლებს თავის მარჩენელს ხარს—„გიშერას“:

რიღათი მოვხნა ნაწრეტი, რით ავიცილო შიმშილი,
რიღათ გავუმძღვე ქვეყანას, რიღათ ვარჩინო ცოლ-შვი-
ლი?..
შენი ჭირიმე, გიშერავ!.. ჭირიმე შენი ქედისა!..

როგორ გულსაკლავი აკორდით ათავებინებს ავტორი თანდილას:

რა ვუყო შენს ცალს ირმასა, ვერ მოვიკარე თვითა,
დარბის თვალ დაფეთებული, ეძიის სარ-ირემივითა.

ყოველ მუსიკალურ ნამოქმედარში ინტროდუქციას, ანუ ოპერაში უვერტიურს შემდეგ იწყება ტემა, რომელსაც მოჰყვება ხოლმე ვარიაციები. ვარიაციები იგივე ტემაა, მხოლოთ სხვა რიგათ გამოთქმული. თ. რაფიელ ერისთავის ყველა სალირიკო ნამოქმედარის ტემა, ანუ დედა-ძარღვი პოეზიისა არის „სესიას ფიქრები“. დანარჩენი ამ გვარი ლექსები კი ამ ფიქრების დედა-აზრიდან გამოწვეული ხელის-ხელ საგოგმანებელი ვარიაციებია. მართლაც და როგორი გულიდან ამონაქაფ ჭირვარმით შემოგვჩივის „ბეჩავი, გლეხათ შობილი სესია, რომლის დედ-მამა და დაძმობილი მიწაა“:

მიწის პატრონიც მე მწიწკნის, ჟინჭველაც ჩემი მტე-
რია,
მოხელე, მღვდელი და ერი — ყველა მე შემომცქერია...
ნეტავი გამაგებინა: როდის-ღა მომასვენებენ?
ვერ შევესწრები, მგონია, მინამ არ წამასვენებენ!..

„ტეტიას მოთქმა“, „ბერუას ჩივილი“ „„შიმშილი„„ „ბერუას ჩაფიქრება“, „დემეტრეს ჩივილი“... სხვა რაღა არიან, თუ არა იგივე „სესიას ფიქრები“, ხოლო სხვა რიგათ გამოთქმულები. ვარიაცია მაშინ არის მოსაწონი მუსიკალურ ნამოქმედარში, როდესაც იგი ტემის დედა აწრს არ გადაცილდება, მარა ადამიანის ყურს კი ისე ალხენს, ისე მოესმის, თითქო სრულიად სხვა რამ ახალი არისო:

ნეტა რა წყალში ჩავარდე, რით გამოვკვებო ცოლშვილი?
ო დასაქცევმა სეტყვამა კარს მომაყენა შიმშილი!...

. . . . . . . . . . . .

ყველა მე ჩამომეკიდა: მამასახლისი, გზირია...
როგორ არავსთქვა, ბეჩავმა, მეც ჩემი გასაჭირია!..

. . . . . . . . . . . .

გეო, ვაჭარი ჩემს სახლში ნავარდობს, როგორც ქორია,
გზირიც, არყისგან გამტყვრალი, გორაობს, როგორც ღორია.

რომელი ერთიღა ამოგიწეროთ: ყოველი ამგვარ ლექსების სტრიქონი ფას დაუდებელი მარგალიტია. ამ ლექსებში თვალ წინ გვეშლება ჩვენთვის, მკითხველო, უცნობი ზღვა ცხოვრებისა, საცა ყველა თანამცხოვრებთ აქვთ თავისებური საზრუნავი, ჭირვარამი, სიხარული, მისწრაფებანი და იმედები. ნუ გგონიათ, რომ ქონიან ტყაპუჭებში და ქალამან-ჩვრებში გახვეულს გოგოებს, ბერუებს, სესიებს და სხვებს სულიც დაბალი, ლაჩარი, დავრდომილი და წაპილწული ჰქონდეთ. ამის შესახებაც მოუსმინეთ დიდებულ „თავად—გლეხ“ პოეტს:

კერპია თედა, კერპია,
გაუტეხელის გულისა,
მუშა კი არი, მშრომელი
მქონი დიდის სულისა.
ეს სიღარიბეს არ უთრთის,
მაჯის იმედით სრულია,
ებრძვის შავს მიწას დღითი-დღე,
ჯაფისგან მოქანცულია.
სხვისა არ უნდა თედოსა,
მოძმეს არ შეეცილება,
ცის რისხვას, ბატონის წყრომას
ქუდ-მოხდით ემორჩილება...

პირველი ესა, პოეტი ყოველთვის თავის საუკუნის შვილია, მაშა სადამე, ბევრიც რომ მოესურვა, თავადი რაფიელი ვერ აუხვევდა გზას იმ კითხვებს, რა კითხვებიც წამოუყენებია ცხოვრებაში თვით საუკუნეს. საქართველოს ბევრი სადარდებელი ჰქონდა და აქვს. უმთავრესი ჭირ-ვარამი ქართველობისა, როგორც დღეს, ის იყო, რომ მის სამშობლო ენას ფრთა ეკვეცებოდა უვარჯიშობისა დ სხვა-და-სხვა გარემოებათა წყალობით. რამდენიც დრო გადიოდა, იმდენათ უფრო და უფრო იდევნებოდა ყოველგან ჩვენი სამშობლო ენა და თვით საქართველოს შვილნი გულ-გრილათ დაადგენ გადაგვარების გზას.

ამ დროს ვერ მოითმინა პოეტის მგრძნობიარე და მღელვარე გულმა, გრიგალათ მოასმინა საქართველოს შვილთ თავის ლექსები: „დედა ენა„, სამშობლო ხევსურისა„, და ბოლოს იჭექა ლექსით „კაცის არის“. ყველაზე უკეთესი ამ ლექსებში არის „სამშობლო ხევსურისა“. იგი სამუდამოთ დაურჩება მოზარდ ქართველობას მეთერთმეტე მცნებათ. სხვა რომ არა დაეწერარა პოეტს ამ ლექს გარდა, მაინც საუკუნოთ სახსენებელი ეყოლებოდა იგი ქართველობას და მაინც საპატიო ადგილს დაიჭერდა მოხუცი პოეტი ჩვენს შესანიშნავ მოღვაწეთა პანტეონში.

ამ ლექსის გვარი მე არა შემხვედრიარა უცხო ლიტერატურაში. მართალია, მაგალითათ რუსულ ლიტერატურაში პუშკინს აქვს ლექსი: „Опять на родинѣ და სხვა“, მაგრამ ძალიან შორი-შორს არიან ერთი-ერთმანეთზე. პუშკინი ვერ შეჰქმნიდა ამ გვარ ლექს, იმიტომ რომ მას აკლდა ის სულის მოუსვენრობა, ის ენტუზიაზმი, რომელიც საკუთრებაა მარტო დავრდომილ დამონავებულ ერის შვილისა.

პოეტს აქვს კიდევ ისეთი საარშიყო ლექსები, რომელთაც ერთი მხრით აქვთ ავტობიოგრაფიული მნიშვნელობა. ამ ლექსებში იგი თავისი მრავალ გზის ტანჯვით და უბედობით გამოწვეულს ცრემლებს ჰგვრის ყოველ მკითხველს.

შეხედეთ, ოც-და-ათი წლის პოეტი, ჯანითა და სიცოცხლით ალსავსე ყმაწვილი კაცი, რას ნატრობს, როდესაც მოაშორეს მას სულის მეფა:

მესისხლობა, შური, მტრობა, ამისთანა არის განა? —
სულის მეფას მომაშორეს, გულსა დამცეს მჭრელი დანა.
არ დავწყევლი, ვინც ეს მიქნა, შემდეგ ხელი გადიბანა;
მხოლოდ ვნატრობ: მასცა შეხვდეს დღე და ბედი ჩემისთანა.

ეს პირველი ალგზნებული სიყვარული გაუცრუვდა პოეტს და თითქოს თავის თავათ გადაწყვიტა კიდეც უცოლო დარჩენილიყო. გავიდა დრო და ჟამი, **1857** წელს დაინიშნა ზუგდიდის ოლქის უფროსის თანამდებობის ალმასრულებლათ. ამ დროს ოც-და-თოთხმეტ წელს მიხწეული პოეტი, დადარბაისლებული შფოთავს სულით, უფიქრდება თავის მარტოობას:

რამ მომიღრუბლა ბედი წყეული?..
შავნი სევდანი გულს მაწვებიან—
რათა ვარ მარტო, როგორც ეული?...

გავიდა კარგა ხანი და გაეცნო სამეგრელოში

თავად ერისთვიშვილის ასულს, შვენიერებით, სწავლა-განათლებით და სათნოებით აღსავსე თეოდოსიას. ამ დროს უცნაურათ ატოკდა, თითქოს შვებითაც მოიხედა პოეტის დაჭრილმა გულმა, ერთი გზით თითქოს დაივიწყა კიდეც თავისი უკურნებელი წარსული, მაგრამ, ღმერთო ჩემო, რა ემართებოდა ამ დროს უბედურ პოეტს. იგი იცრემლება, იმდუღრება, ეჭვი ელვასავით ურბენს თავში, არ ჰჯერა, რომ სრულიად ნორჩი, შვენიერებით შემკული, თეოდოსია იკადრებდა ხანში შესულს მოტრფიალის თანაგრძნობას. ის კი არ იცოდა სიყვარულით აღგზნებულმა პოეტმა, რომ სახე მისი ამ „ქალთა მეფა“-საც ჩასჭროდა გულში და რომ თეოდოსია არათ აგდებდა თავის მოტრფიალის ხანში შესულობას. პოეტი გულ-ახდით უძღვნის მას ლექს, რომელსაც ასეთი სათაური აქვს — „წრეს გადასული წრეში შემოსულს:

ფიქრმა და დარდმა სულ დამდუნა,
ადრე დამაჭკნო, დამამაბუნა;
ორმოც-და-ათმა წელმა გამდუნა,
კისერში მაგრა ჩამიკაკუნა!
რად შემიყვარებ? განა არ ვიცი,
შენ ჯერ ნორჩი ხარ, მე კი მოხუცი..
შენ გაგაწითლებს თუნდა სიზმარში,
ვისაც არ უჩანს ჭაღარა თმაში,
შენ აგაყრყოლებს, თუნდა ყინვაში,
ამწვანებული ახლად ულვაში!...

მაგრამ წინანდელი გულის ჭრილობა მაინც ვერ გაიმთელა ვერაფრით პოეტმა. შემდეგშიაც აგონდებოდა ხშირათ თავისი გატაცებული სიყვარულის საგანი. ლექსში „ვარსკვლავს“, როდესაც პოეტი მდუღარებით შეჰყურებს ლაჟვარდოვან ცაზე მდიდრულათ გადმობრწყინებულს ვარსკვლავს, უნებლიეთ ცრემლ-მორეულს აგონდება წარსული თავისი საამქვეყნიო ვარსკვლავი, რომელიც მას ისე ულვთოთ მოაშორეს:

მოგონებამ განმიახლა ჭრილობანი, ძველნი წყლულნი!

. . . . . . . . . . . . . .

მაგრამ ის ბედი, იმდი მომტაცა ხვედრმა უწყალოთ...

აი, კიდევ შემდეგში რას გვეუბნება პოეტი გადაჭრით:

მანამ მზის სხივი არ დაბნელდება,
მანამ ქვეყანა არ დანელდება,
შავსა უფსკრულში არ დაინთქმება,
არა არსებათ არ ჩაითვლება, —
მანამდის, სწორეთ, ვერ დაგივიწყებ...
ზეცასაც შენით ცხოვრებას ვიწყებ!...

ჩვენი პოეტები, კარგა ხანია, შეუდგენ კრილოვისა და სხვების იგავ-არაკების გადმოთარგმნას და გადმოქართულებას. მაგალითათ ალექსანდრე ჭავჭავაძემ, ალექსანდრე ორბელიანმა, გრიგოლ ორბელიანმა და სხვებმა მოგვცეს რამდენიმე ნიმუში იგავ-არაკების გადმოღებისა. მაგრამ მათი წადილი ისევ წადილათ დარჩა, რადგანაც არც ენა უვარგოდათ ამ გვარ ნაწარმოებთა გადმოღებისათვის და ვერც ხეირიანათ გადმოაქართულეს მათი შინაარსი. 1876 წელს დაისტამბა ქ. თფილისში თავად მიხეილ არ. ბებუთოვის გადმოთარგმნილი „არაკები კრილოვისა“. ეს შრომა სომეხ ბებუთოვისა უნდა ჩაითვალოს კრილოვის მასხარათ აგდებათ, რადგანაც ამ ნაშრომში თითქმის ყოველივე იგავი კრილოვისა წმინდათ დამახინჯებულია. ოთხმოცდაპირველ წელს პირველათ ეღირსა ქართველ მკითხველ საზოგადოებას იუბილარის წყალობით დამტკბარიყო პაპა კრილოვის რჩეულ იგავებით სამშობლო ენაზე.

თავადი რაფიელი ჩინებული მთარგმნელია აგრეთვე ზოგიერთ რუსის პოეტებისა: პუშკინისა, რომლის „ძუნწი რაინდი“ სანაქებოთ აქვს გადმოთარგმნილი ქართულათ, აგრეთვე უთარგმნია თხზულებანი: ოგარიოვისა, მიცკევიჩისა, ლერმონტოვისა, გრეკოვისა, ტიუტჩევისა და სხვებისა.

ღვაწლი იუბილარს იმაშიაც მიუძღვის, რომ თავის ხალხურ ლექსებში ბევრი ნამდვილი გლეხური სიტყვები და გამოთქმანი დააკანონა და სალიტერატურო ენას მიაღებინა. თავადი რაფიელი თერთმეტი სხვა-და-სხვა წყობილებით გვიწერს თავის ლექსებს. აი, ზოგიერთი სხვა-და-სხვა წყობილების მაგალითები, მის ნაწერებიდანვე ამოღებულნი:

1) არ გავცვლი სალხსა გლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!..

2) უწყალო ხვედრმა, შავმა ბედმა თავს გადმიარა,
დამცინა მწარეთ, ამიშალა ძველი იარა!..

3) ენით ვცოცხალვარ, მით მიყვარს ლხენა,
მიყვარს სამშობლო მე ტკბილი ენა!

4) ქართლსა ვიხილე ქალთა მეფაი: ტურფა დიანა,
გველუცი, ნაზი, ბადრი და ნორჩი, კეთილსმიანა...

5) რა ვარსკვლავი რა ვარსკვლავზედ ჩვენ დაგვებადოთ,
დედამ ღმრთისამ მოწყალებით ჩვენ გადმოგვხედოთ,
ვაჟი მოგვცა, მით გვიწვიმს ციდამ მანანაო,
იავ-ნანა, ვარდო-ნანა, იავ-ნანინაო!..

6) ბიჭო, პური შემოსულა, ღელავს, ბზინავს ოქროს ფერად,
უფლის თვალი შიგ ტრიალებს, — მოდით, ნახეთ, თუ არ გჯერათ!..

7) ღმერთმა მოგცეს, რაც შენ გინდა,

რაც შენ გიჯობს, მოგცეს ბედმა..:

8) მითხრეს სტირისო. რას სტირი,
რამ აგიდუღა გულია?
რას სტირი, გოგოვ ბეჩავო.
რადა გდის ნაკადულია?.. და სხვები.

საჭიროა აგრეთვე გავიხსენოთ, რომ თავად რაფიელ დავითის ძემ ერისთავმა სანაქებოთ გაგვილექსა ამბავი ასპინძის ომისა, რომელიც შეადგენს უდიდებულეს წამს ჩვენი ისტორიისას. ამასთანავე დიდებულმა პოეტმა და დაუცხრომელმა მუშაკმა დიდი ღვაწლი დასდვა ჩვენს თეატრსაც. მან დაწერა რამდენიმე პიესა: „ბიძიასთან გამოხუმრება“, „ადვოკატები“, „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ“, „მბრუნავი სტოლები“ (მგონი 68 წელს ცისკარში დასტამბულია), „პარიკმახერისას“ და სხვა.. ზოგიერთი ამ პიესათაგანი რუსულიდან არის შეუდარებლათ გადმოქართულებული და აქამდე ჩვენი თეატრის რეპერტუარში საუკეთესო პიესებათ ითვლება.

მოხუცმა პოეტმა არა ნაკლები მოღვაწეობა გაუწია ქართველობას როგორც ლექსიკოლოგმა. მან 1884 წელს დასტამბა ალექსანდრე ეპისკოპოსის საფასით მოკლე „ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი; მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოებიდან“.

დიდება ძლევა-მოსილს მოხუცს, ამოდენა შრომის ამტანს, დიდება „თავად-გლეხ“ პოეტს, რომელმაც ასე კარგათ გაგვაცნო და შეგვაყვარა გულ-უბრყვილო ჩვენი მოძმე გლეხობა და მით მჭიდროთ დაგვაკავშირა მათთან სულიერათ.

ა. დოდაშვილი

## რაფიელ ერისთავს

(ორმოცდაათი წლის იუბილეზე)

სამშობლო დედის ძუძუი
არ გაიცვლების სხვაზედა;
ორივ ტკბილია, მშობილო,
მირჩევნის ორთავ თვალზედა!
რაფიელ

ორმოც-და-ათი წელიწადია,
რაც რომ სამშობლოს წრფელათ მსახურებ
და შენი უკვდავ ჩანგისა ჟღერით
კაცობრიობის გულსა ახურებ.
ოხ, სასოებავ ჩვენო მოხუცო,
კანდელო ქვეყნის წარმატებისა,
მოზარდ თაობის წინა მძღვარო,
ცულით მკაფავო ბოროტ გზებისა!
კურთხეულ იყოს შენი სამშობლო,
„დედის ძუძუი“ დიდ-ჭირნახული,
რომელიც არის შენი „ტაძარი“
და შეგიწირავს „სამსხვერპლოთ გული“.
კურთხეულ იყოს ის დედა-ენა,
რომელიც გიყვარს ერთგულსა შვილსა,
რომლითაც „ნანა“ აკვნით გსმენია—
„ალერს გაგონებს დედისას ტკბილსა“.
შენგან სამშობლომ ჯერი მიიღო —
დიდი საუნჯე—ფას-დაუთქმელი,
რაც საუკუნოთ იმას ანათლებს,
როგორც სანთელი დაუშრეტელი.
სანამ დასავლით მზე არ ამოვა
და მისი სხივი არ გაშავდება,
მანამდი ქართველ კაცის გულშია
შენი სახელი უკვდავ იქნება!
მამა-შვილობით ნება გვიბოძეთ,
ლოცვა შევევედროთ ჩვენ ღვთისმშობელსა,
რომ შენისთანა ბევრი გვაღირსოს
და შენ გაცოცხლოს მრავალსა წელსა!..

მოსწავლე—მეგრელი ა. ნაჭყებია

## რაფიელ ერისთავის

ორმოც-და-ათი წლის სალიტერატურო ასპარეზზე მოღვაწეობის იუბილეზე

სულით და გულით მოძღვნილი
მცირედიც შეწირება.
აკაკი

ჩემსა პატარა სამშობლოს
ტურფასა,აყვავებულსა,
ორთა ზღვა შუა მდებარეს,

და ედემსავით შემკულსა
ბევრჯერ უნახავს შავი დღე.
შეუსვამს მწარე ნაღველი;
ავიცა ბევრი უნახავს,
კარგისაც არის მნახველი.
თუმც დევდა მუდამ უწყალოთ
უბედურების გრიგალი,
მაგრამ სიმხნითა გამაგრდა,
რადგან წყალობდა ღვთის თვალი.
დედობრივისა ზრუნვითა
უზრდია და ზრდის გმირებსა,
ჩაგრულ მოძმისა მოყვარეს,
მამულის შვილებს—ძვირებსა.
ამ ძვირფასს შვილთა რიცხვში ხარ,
პოეტო, ნიჭით შემკულო,
პატივცემულო მოღვაწევ,
მამულის, ერის, ერთგულო!
დღეს დიდ განძია ყველასთვის
მოხუცო, შენი სახელი:
მითი ამაყობს სამშობლო,
მითი ამაყობს ქართველი.
საკეთილ-დღეოთ მამულის
არ დაგიზოგავს თავი;
პატიოსანი ოფლს ღვრიდა
შენი მარჯვენა მკლავია.
შენი სიტყვები ხევსურსა
გულს ჩაჰბეჭდვია ძალზედა,
ეტრფის და ეტრფის სამშობლოს,
ურჩევნის ორთავ თვალზედა.
შენ ძმის მოლხენა გატკბობდა
და უზომოდა ჰხარობდი,
მაგრამ წუხილი იმისა
გულსა გიკლავდა, წვალობდი;
ტანჯულს ერს ჰწმენდდი ცრემლებსა,
მწუხარებისგან მოსრულსა;
ნუგეშს აძლევდი მაშვრალსა
და ყველას ბედით ჩაგრულსა.
სუსტთ ყვლეფა, ჩაგვრა, მტარვლობა
გძულდა, ვით ბნელი სამარე;
უსამართლობის მტერ იყავ
ძმობა-ერთობის მოყვარე!
შეჰხედე! შენგან დარგულ ხის
დამწიფებულა ნაყოფი,
მის სიტკბოს ბევრი უკურნავს
ტანჯული სულით აქ მყოფი!
რაც შენ იღვაწე ამ ქვეყნათ,
ნახევარ საუკუნეა—
მხნეთ, ნათლათ, დაუღალავათ,
თავი არ დაგიღუნია.

ამ დროის განმამაელობას
ბევრი რამ მოხდა ცვლილება:
ბევრი ხელმწიფე დამარცხდა,
ბევრთ გულს აჩნია ჭრილობა.
ბევრი დასძირა უფსკრულში
ცხოვრების მღვრიე ტალღებმა,
ბევრს გაუფუჭა იმედი
მახემ ბედისგან ნაგებმა.
მაგრამ შენ მტკიცეთ დასძლიე
უბედურება ყოველი:
არ დაგიგდია არ ოდეს
შრომა ღვაწლისა უღელი!
დაუღალავათ იღვწოდი,
პოეტო, პატივცემულო,
არ შეუშინდი განსაცდელს—
მამულის, ერის ერთგულო!
შენ ამაყობდი სამშობლოთ
და ყოვლით იმით, რაც ამკობს,
და, აჰა, ჰხედავ, რომ დღესა
შენით სამშობლო ამაყობს!
რათ გინდა ბევრი დიდება,
რათ გინდა ჩვენგან შენ ქება?
ის კმარა, რომ ხარ „რაფიელ“—
ის არის შენი დიდება!!!
სანამ მზე ცაზე კაშკაშებს,
სანამ ცოცხალ არს ქართველი,
მერწმუნე დაუვიწყარი
იქნება შენი სახელი!
მოზარდ ყრმათ გუნდი ვლაღადებთ:
,,ჩვენო აღმზრდელო მამაო!
სული და გული დაგვიტკბო
შენი ლექსების ხმამაო!
დედის რძესავით გვარგია,
სული მით იკვებებაო,
შენი სიტყვები გვაცოცხლებს,
გული სიამით დნებაო.
თუმც დაგვიბერდი, მამაო,
თავს გიმკობს თეთრი ჭაღარა;
მაგრამა გული მხნეთ გიცემს,
ვითა მთის წყარო ანკარა!
მამობრივ ზრუნვას ყოველთვის
აღარ გვაკლებდი ჩვენაო,
ღმერთი გვიცოცხლებს შენს თავსა,
რომ მით მოგვეცეს ლხენაო!
ნება გვიბოძეთ გულითად
გიძღვნათ მადლობა, სალამი,
ღმერთმა გაცოცხლოს ტკბილათა.
გიკურთხოს მჭრელი კალამი!“

მოსწავლე მეგრელი ჰ. კაკულია.

## საყურადღებო ამბები

ქუთაისი. კვირას 8 ოქტომბერს ქუთაისის საქალებო გიმნაზიაში გამართული იყო სალიტერატურო დილა, რომელზედაც დაესწრო მრავალი საზოგადოება, სხვათა შორის ეპისკოპოსი ალავერდისა ბესარიონი, ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი და ქუთაისის სამხედრო გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი ბ-ნი ს. წერეთელი. წაკითხულ იქმნა მრავალი ლექსები რუსულათ, ქართულათ და ფრანგულათ. იყო სათითაო და ხოროს სიმღერები და აგრეთვე შეასრულეს მოწაფეებმა პიანინოზე სხვა-და-სხვა პიესები. საზოგადოება დიდათ კმაყოფილი დარჩა ამ სალიტერატურო დილისა, განსაკუთრებით ძლიერ მოიწონა საზოგადოებამ ქართულათ წაკითხული ლექსი: ,,სამშობლოს სიყვარული'' ან. ფურცელაძისა, რომელიც წაიკითხა მეოთხე კლასის მოწაფემ თოფურიძის ასულმა. ამ ლექსის წაკითხვამ გამოიწვია საზოგადოებისაგან დაუსრულებელი ტაშის-კვრა და ,,ვაშა'' ,,ვაშას'' ძახილი.

ი. გო—ძე.

* * *

ბათუმი. გასულ სეკტემბერს 11-ს კრწანისის ბრძოლის ასის წლის შესრულების დღეს, როცა მილოცვით, თუ პანაშვიდების გადახდით მონაწილეობა მიიღეს თითქმის იმ ადგილებიდანაც კი, სადაც 3—5 ქართველი ცხოვრებდა, ბათუმიდან და ფოთიდან არც ერთი ხმა და არც ერთი კრინტი არ მოისმა. რა არის მიზეზი? ნუ თუ მართლა ამდენ ქართველებში ერთი ვინმე არ აღმოჩნდა, რომ სხვა ქართველებთან ერთათ შეეწირა ლოცვა სამშობლოს გმირთა სულის მოსახსენებლათ. განვლო 11 სეკტემბერმა და აგერ მოდის ოკტომბრის ოც-და-ორიც. გულის ცემით და ტანის კანკალით ყურს ვუგდებთ, აბა, მაინც რას იზამს აქაური ქართველობა. ნუ თუ ახლაც დაივიწყებას მისცემს თ. რაფიელ ერისთავის იუბილეის? როგორც შევიტყეთ, სეკტემბრის 11-ს ბათუმის დაბალ დასიდან კიდეც ყოფილა თფილისში რამდენიმე ახალგაზდა და წვრილი ვაჭრები, რომლებსაც სურვებიათ, ნდომიათ, მილოცვით მონაწილეობა მიეღოთ კრწანისის ველზე დახოცილ ქართველ გმირთა სულის მოსახსენებლათ, მაგრამ თურმე ზოგიერთ დიდკაცობას საწყენათ მიულიათ ასეთი გრძნობის გამოცხადება და ამისთვის ბათუმელებსაც ველარ გაუბედნიათ და უკან დამდგარან. ჩვენ გვჯერა, რომ ბათუმელები და ფოთელები ახლაც ვერ მიეგებებიან ბ-ნს იუბილარს იმ შუქით *), რის ღირსიც არის „სამშობლო ხევსურისა“ და სხვების ავტორი. ყველაზე უფრო უმართებულო და გასაკიცხი საქციელი ამ შემთხვევაშია აქაური წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კომიტეტისა, რომელსაც სწორეთ ამ ოკტომბრის 22-ს დაუნიშნავს აქაური შკოლის სასარგებლოთ სახალხო სეირნობა და მასთან ლატარია-ალეგრი. პატივცემულს მოთავეებს იუბილე დავიწყებია, ქუჩა-ქუჩა დარბიან და ფულს, ანუ ნივთეულობას ლატარია-ალეგრისათვის აგროვებენ. უეჭველია, რომ ესეც კეთილი საქმეა და მოთავე სხვის საქებარი, მაგრამ ჩვენ გვგონია, უფრო საქებარი იქნებოდა, რომ მაგ კეთილ საქმესთან აგრეთვე თვალ წინ ჰქონოდათ ორმოც-და ათის წლის იმავე აზრით და იმავე ასპარეზზე ღირსეულათ შრომის და მშრომელის დაფასება. არაფერი უჭირდა, რომ თავიანთი ლატარია-ალეგრი რამდენიმე დღით ან წინ დაენიშნათ და ან უკან. ვიმეორებთ, რომ ორმოც-და-ათის წლის შრომას შემდეგ მხოლოთ ერთი დღეა დანიშნული ქართველთათვის პატივსაცემათ თ. რაფაელ ერისთვისა. უეჭველათ მას უნდა იცნობდეს ყოველივე ის, ვისაც ქართულის სული და გული უდგას და ვისაც ყოველთვის თვალ წინ აქვს სამშობლოს მდგომარეობა და მისთვის თავგანწირული კაცების ღირსება. ქართველებთან ერთათ ჩვენ საქართველოში მცხოვრები და ქართულ ენაზე მოლაპარაკე სომხობაც მოვალენი ვართ თანასწორათ პატივი ვცეთ თ. რაფიელ ერისთავს, რადგანაც მომეტებული ნაწილი ჩვენთაგანი ჯერ ახლაც ვიზდებით ქართული ლიტერატურით და მის მიერ დათესილი კეთილი აზრების გავლენას ქვეშ.

გ. გრიგორიანცი

* * *

10 ამ თვეს, საღამოს, ბათუმში რამდენიმე ქართველმა თავი მოიყარა ბათუმის ქართულ შკოლაში. მიზეზი ამ კრებისა გახლდათ ჩვენი საყვარელი პოეტის თავ. რ. დ. ერისთვის იუბილე. აქვე უნდა შევნიშნო, რომ წინათ ამორჩეული ამ საქმისათვის გამგე კომიტეტი, როგორც ეტყობა, ვერ მოიქცა კარგათ. ეტყობა იგი არც კი შეკრებილა, რომ საიუბილეო დღესასწაულის გამართვა ეკისრა. ამითი აიხსნება, გაზეთებმა რომ ამ ბოლო დროს გამოაცხადეს, თვით პროვინციებმა უნდა ითავონ საიუბი-

*) რაკი აქამდინ მზადება არა ყოფილა რა, არა მგონია, რომ ამ მოკლე ხანში რამე ღირსეული მოახერხონ.

ლეო დღესასწაული, რადგან თფილისიდან არავითარი განკარგულება არ იქნებაო. ჩვენ მით უფრო ვუსაყვედურებთ უწინდელ გამგე კომიტეტს, რომ მისი იმედი გვქონდა, ველოდით, პროვინციებში აგენტებს დანიშნავდა და ბოლოს აღარა შეგვატყობინესრა. მე ნამდვილათ ვიცი, რომ ორ სამ პატარა ქალაქში ამ უკანასკნელ დრომდის უცადეს თფილისის კომიტეტს, რადგან არ იცოდენ, ვის დაავალებდა კამიტეტი პროვინციაში ამ საქმის მოთავეობას. ამიტომ ყველას დაგვიგვიანდა და ამის გამო შესაძლებელია, ისიც მოხდეს, რომ როგორც მთელს ქართველობას ჰსურდა პოეტის პატივისცემა, ისე ველარ მოვახერხოთ.

ამ პატარა კრებაზე ბევრი სჯა და ბაასი იყო იმის შესახებ, თუ რით და როგორ ვცეთ პატივი საყვარელ იუბილარსო. ბოლოს გადაწყვიტეს, შევკრიბოთ, რაც შეიძლება მეტი ფული და გავგზავნოთ თფილისს დეპუტაცია, იუბილარის ფონდის დასაარსებლათ და ადრესის მისართმევათ.

კ. თავართქილაძე

*
* *

გთხოვთ ნება მიბოძოთ პატივცემული თქვენი გაზეთის „კვალის“ საშუალებით მადლობა გამოვუცხადო მარიამ კონსტანტინეს ასულს იოსელიანს, რომელმაც წყალტუბოს სახალხო ბიბლიოთეკის სასარგებლოთ გადმოგვცა მის მიერ შეკრებილი წიგნები და სურათები და ფულათ სამი მანეთი, და კნ. ეპრაქსია ნიკოლოზის ასულს ლორთქიფანიძეს, რომელმაც ამავე ბიბლიოთეკის სასარგებლოთ შეგვიგროვა სამი მანეთი და ათი შაური. ყოველივე ანგარიში გადაცემული აქვს გამგეს ბიბლიოთეკისას მღვდ. იუსტინე ფანცხავას.

წევრი დამაარსებელი ბიბლიოთეკისა მასწავლებელი ლავრენტი ჩიმაკაძე

*
* *

ბარცხანა(ბათუმი). არა ერთ-ხელ ყოფილა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში დასტამბული, ბათუმის ქარხნებში მუშაობამ იკლოვო. ქართველ მუშებს სამუშავერს არ გვაძლევენ მაშინ როდესაც უცხოეთის მუშები ასობით და ათასობით მუშაობენ სხვა-და-სხვა სამუშავერზე. მაგრამ ამისთვისყურადღება არვის მიუქცევია და დღესაც ისეთ საჩივარს გაიგონებთ ქართველი მუშებისაგან, რომლებიც ასობით და ათასობით ყრიან უადგილოთ. აი, მაგალითათ: ,,მივდივართ სამუშაოთ, მაგრამ სამუშაოს არ გვაძლევენ, გვეუბნებიან ქართველები ,,უვარგისები ხართო, ხოლო ტრაპიზონელ, სტამბოლელ თათრებს კი ათასობით ამუშავებენ“. საკვირველია, რომ ვისიც ჯერ არს, არ აგონდება ეს ანდაზა: ,,შინ, რომ ბავში გიტიროდეს, გარეთ ტაბლას რა უნდაო“ და არაფერ ყურადღებას აქცევენ საწყალი ქართველი მუშების საქმეს.

ამასთანავე არ შემიძლია არ მოვიხსენიო ბარცხანის ,,ჩარჩ-ხარჩონიკების ‘ და წესიერების დამცველების (უფრო უწესოების) თავგასულობა, რომლებიც დღეს უმისოთაც გათახსირებულ და გაჭირებულ მუშებს მხეცურათ ექცევიან, მაგალითათ ,,მეხარჩონიკემ“ მუშას ნისიათ ახარჯა ფულის მიღებამდი და ერთი ორათ აწერა, (რადგან მუშებმა წერა-კითხვა ძვირათ იციან) ფულის მიღების დროს მუშა რაიმე მიზეზის გამო მთლათ ვერ გაუსწორდა, ან მეორე ხელ ახდევინებს ბ-ნი „მეხარჩონიკე“. იმ შემთხვევაში უძახის ბარცხანაში წესიერების დამცველს (ზაფთიებს, ხეპრე თათრებს). თათრები ბ-ნი „მეხარჩონიკეს“ ბრძანებით იჭერს საწყალ მუშას და ცემს, თან ეუბნება, მიეცი ფული, თვარა წამოდი პოლიციაშიო და მიათრევს. იქაც ბ-ნი მამასახლისის თანაშემწე აპატიმრებს საწყალ მუშას. რისთვის, ან რა საქმისთვის? სრულიად გაუგებარია. საჭიროა, რომ ადგილობრივმა უმაღლესმა პოლიციამ ყურადღება მიაქციოს ხეპრე თათრებისა და მამასახლისის თანაშემწის თავგასულობას და აგრეთვე ,,ხარჩონიკების“ ძალმომრეობასაც.

## ორ-მოც-და-ათი წლის მიცვალების პანაშვიდი ნიკოლოზ ბარათაშვილისა

თექვსმეტს ღვინობისთვეს, საღამოს, ქართველმა საზოგადოებამ ნიკოლოზ ბარათაშვილის საფლავზე გადაიხადა პანაშვიდი. ის იყო, დღე და ღამე იყრებოდა. დიდებულის პოეტის სამარეს გარშემოდგომოდენ მისი სახელის პატივისმცემელნი. საღამო იყო მშვიდი და ბუნება დამტკბარი. ბინდი შემოდიოდა და მთვარესაც თან-და-თან უბრწყინდებოდა პირის სახე, თითქოს უხაროდა, რომ მისი საყვარლის მგოსნის ამწვანებელს„ საფლავს თავის სხივებით კოცნიდა.

გაისმა გულის შემძვრელი გალობა, რომელიც ანგელოზების ღაღადებათ მოგვესმა და აღიწეოდა ზეცამდე: ,,სულთათანა მართალთასა სულსა მიცვალებულისა მონისა შენისა განუსვენე მაცხოვარ"! სანთლებით განათებული გუნდი მლოცველთა, ამასთანავე ნაზი ხმა ღვდლისა და მთავარ-დიაკვნისა საკვირველი ზეციური მადლით სავსე სანახაობას წარმოადგენდა. უნებურათ გამიტაცა წარსულის მოგონებამ და თვალწინ ცოცხლათ დამეხატა ის წამი, როდესაც ათას კელაპტარ ანთებული მლოცველები აღდგომის განთიადს ლიტანიას უვლიდენ საგარეჯოს ტაძარსა. თურმე ამდროს ერთ ჯოჯოხეთის ბინდბუნდში მტერი ქრისტიანობისა, წყეული შაჰ-აბას, ხმალს ულესავდა ამდენ ქრისტეს მმოსავთა... ეს რომ თვალწინ მიდგა, ტანში მაჟრჟოლებდა. ოცნებასა და სინამდვილეს შუა დაფარფატებდა ჩემი სული. ეს შთაბეჭდილება მით უმეტეს განხორციელდა ჩემს წარმოდგენაში, როდესაც, გათავდა თუ არა პანაშვიდი, უეცრათ დადგა ჩვენს წინაშე ჩრდილში ერთი კაცი, თითქოს სამარიდან სული ამოსულ იყოს, და დაიწყო მწუხარე, ნელი, გულის სიღრმემდის ჩამწვდომი ხმით შემდეგი ქადაგება:

,,რუსეთის საისტორიო მწერლობაში თქვენ შეხვდებით ერთს აზრსა, რომელიც დიახ ცნობილმა პირმა გამოთქვა, და მერე სხვებმა განიმეორეს: ბედიო, ამოიკითხავთ, ბედი რუსთა ერისათვის ღვიძლი დედა კი არ იყო, როგორც სხვებისათვის, დედი-ნაცვალი იყოვო. იგი ბედი დედინაცვლობას უწევდა რუსების ერს მის საისტორიო ცხოვრებაში და ხელს უშლიდა, ეწინააღმდეგებოდა მის წარმატებასაო. თუ ამას ამბობენ რუსები თავის ბედზე, მაშ ჩვენ, ქართველებს, რაღა გვეთქმის?!. თვით ის ტურფა მხარე, რომელსაც საქართველო ჰქვია, რომლის შვენიერებასაც აღტაცებაში მოჰყავს რუსები და მათი სახელგანთქმული პოეტები შესანიშნავი ლექსებით ამკობენ, თვით ეს მხარე, მისი ბუნების წყალობით, გახდა პირველი მტერი ჩვენი ერისა—იგი ანაწილ-ნაწილებდა ჩვენს პატარა გვარტომობას, აცალ-ცალკევებდა თითოეულს ნაწილს, ხელს უშლიდა, წინ უდგებოდა ქართველთა გვარტომობის სულით გაერთებას, რომ შეერთებული საერთო ძალ-ღონით ჩვენი ერი დადგომოდა თავის წარმატების გზას. ახლა იმ მძვინვარე მტრებზე რაღა ვთქვათ, რომლებისგანაც გარემოცულნი ვიყავით?.. ბევრისაგან ერთს ვიტყვი. ლანგ-თემური, დიახ, სახელგანთქმული ლანგ-თემური მიადგა მდინარე დონსა, აქედან გადაავლო თვალი მაშინდელის რუსეთის ველ-მინდორსა, მიწა-წყალს, მიიხედ-მოიხედა და გამობრუნდა უკან: არც აკლება-დაწიოკება, არც სისხლის ღვრა. იგივე ლანგ-თემური რას ჩადის საქართველოში? მრავლისაგან ერთათ-ერთი მინდა გაგახსენოთ. ამ ჩვენს დედა ქალაქ ტფილისში არის ერთი ტაძარი. იგი არ არის გამოჩენილი არც თავისებური ხუროთ-მოძღვრებით, ხელოვნური ანაგებობით, არც სივრცით, არც იქ მოსიარულე მლოცავი ერის სიმრავლით. ამ ტაძრის დღეობა ძლიან მკრთალათ ჩაივლის ხოლმე. უკანასკნელს წლებში ამ ტაძარში დაიწყეს სიარული ჩვენმა სათავად-აზნაურო სასწავლებლის მოწაფეებმა და თავისი გალობით სიცოცხლე მისცეს მიმკრთალებულ წირვა-ლოცვას. არავინ არ ფიქრობს, თუ რის სახსოვრათ არის დანიაგებული ეს მცირე ტაძარი და ან რათ არის დანიშნული ამ ტაძრის დღეობა, თითქოს უდროო დროს, შეუფერებელს დღეს. შედით შიგ ტაძარში, მიმოიხედეთ. იქნება თქვენ იპოვოთ იქ ერთი შესანიშნავი ორმო, რომელიც დღეს დაკარგულია და დავიწყებული, მგონია, თითონ მღვდლისაგანაც კი; ეს ორმო და მისი ადგილი კარგათ ახსოვდათ ჩვენ ქართველ დედებს თვით ამ საუკუნის ნახევრამდე; ამ დედებს მოჰყავდათ აქ თავისი ბავშები და თაყვანს სცემდენ ამ ადგილს. უსუსურ ბავშებს ზედ ამ ორმოზე დააგორებდენ წმ. გიორგის ხატის წინ და ავედრებდენ მათ. რა ორმო იყო ის ორმო? ეს გახლავთ ის ორმო, სადაც დაფლულია უმანკო ძვლები იმ მოწამე ყრმებისა, რომლებისგანაც კალო ჩააშლევინა ლანგ-თემურმა და თავის ცხენოსან ჯარს გაალეწვინა. აი, ბატონებო, ლანგ-თემური რუსეთისათვის და იგივე ლანგ-თემური საქართველოსათვის. ვიკმაროთ ეს მაგალითი. დიახ, თუ სხვები, ჩვენზე ძლიერნი და ბედნიერნი უჩივიან ბედს, ჩვენ ერთი-ორათ უფრო მეტი საფუძველი გვაქვს ამ ბედზე ვიჩივლოთ. მწარე იყო ჩვენი ბედი, მაგრამ ბრძოდენ ჩვენი წინაპრები, ბრძოდენ გმირულათ, თავისებურათ; არ იტეხდენ გულს, არ იდრეკდენ მუხლს შავი ბედის წინ; ბრძოდენ და იმოსებოდენ დიდებით; ბრძოდენ და ეს ბრძოლა, მედგარი, შეუპოვარი ბრძოლა ანდერძათ დაგვიტოვეს ჩვენ. ხოლო ეს სამღვთო ანდერძი ყველაზე მეტის სიცოცხლით, მეტი შვენიერებით და ხატებით გამოთქვა იმ კაცმა, რომლის საფლავის წინ ახლა მოგვიყრია თავი და რომლის უდროოთ დაკარგვასაც ვჩივით და ვტირით, აგერ ორმოც-და-ათი წელიწადი შესრულდა. თქვენ იცით, რომელი უკვდავი ლექსით გამოგვიხატა ბარათაშვილმა მამა-პაპური ისტორიული ანდერძი. აი, ამ საღვთო ანდერძის ცხოველათ გამოხატვაში არის უპირველესი ძალა და მნიშვნელობა ბარათაშვილის ქნარისა, იმ ქნარისა, რომელიც ერთსა და იმავე დროს კიდეც გულსაკლავია ჩვენ-

თვის და გულის გამკეთებელიცა, გამამხნევებელიცა. დიახ, გვმართებს „მერანის“ ხსოვნაცა და იმაში გამოხატული ანდერძის ასრულებაცა. მაგრამ რომ ეს ანდერძი პირნათლათ ავასრულოთ, გვჭირია ერთსულობა და ერთგულობა; ჩვენ კი სწორეთ ერთობა და თანხმობა გვაკლდა ხშირათ უწინ და გვაკლია დღესაც. ახლა მე აქ მებადება იმედი, რომ ეს სათაყვანებელი საფლავი, მასში დამარხული წმინდა ნეშტი, ბარათაშვილის უკვდავი ხსენება და მისის „მერანის“ ძლიერი ლექსი შეაერთებს სულით და გულით ჩვენს ერსა და შეერთებული ძალ-ღონით ძველებურათ, მამა-პაპურათ შევებრძოლებით ჩვენს ბედს, ჩვენს ულმობელ დედი-ნაცვალსა, შევებრძვით და ერთი პირით, ერთი გულით, ერთმანეთის გასამხნევებლათ მომავალის იმედით სავსენი, ვიტყვით და ვიმღერთ:

„ვერ შემაშინოს მისმან ბასრმან მოსისხლე მტერი!
გასწი, მერანო, გადამატარე ბედის საზღვარი..
თუ აქამომდე არ ემონა მას, არც აწ ემონოს შენი მხედარი!..“

ასეთი იყო ივანე რატიშვილის ქადაგება. ამას შემდეგ რაღაც მძიმე დუმილმა მოიცვა მთელი იქ მყოფი საზოგადოება. სიტყვა იყო საგულისხმიერო, ხოლო პასუხი,—ეს საერთო დუმილი. ამ ღრმა დუმილით განმტკიცდა ანდერძი, პოეტის საფლავზე წარმოთქმული.

გ. წერეთელი

---

## დაგვიანებული წერილი და მცირე რამ შენიშვნა

შემდეგი *)

როგორც ხედავთ, რუსეთის გონების წარმომადგენელნი მეტათ ცუდი აზრისანი არიან აზიელებზე და კერძოთ კავკასიელებზე. არა მგონი, თვით დასავლეთ ევროპაში ასე თამამათ უარყონ აზიის მნიშვნელობა და მიაწერონ მას ევროპულ კულტურის შეთვისების უნიჭობა. მაშ რუსეთის წარჩინებულნი რატომ აძლევენ საწყალ აზიას უნიჭობის ატესტატს? სხვა მრავალ მიზეზთა შორის, ჩემი ფიქრით, პირველი ის არის, რომ თვით რუსეთი ამ ბოლო დრომდე წარმოადგენდა აზიურ სახელმწიფოს, რომელმაც ერთათ-ერთმა შეიძლო ევროპული კულტურის თავის ნიადაგზე გადმონერგვა და შეთვისება. მართლაც, ამ უკანასკნელ საუკუნის ნახევარში რუსეთმა იმდენათ წამოიწია, იმდენათ განვითარდა და გაიზარდა გონებით, რომ დაუბრუნებლათ შეუერთდა საერთო-ევროპულ ცხოვრებას. ამ შეერთებამ მეტის-მეტი გონებრივი მოძრაობა და შრომა მოითხოვა, რომელსაც შედეგათ ის მოყვა, რომ რუსეთს გაუჩნდა თავისი, ნაციონალური, რუსული მეცნიერება. მან შექმნა თავისი ეროვნული ლიტერატურა და თავისი გონებითი წარმომადგენლების მეოხებით მოიპოვა სხვა ევროპელების პატივისცემა და ყურადღება. ამ ერთბაშათ წამოწევამ და გაცხარებულმა ეროვნულმა შრომამ ის მისცა რუსეთს, რომ რუსეთის გონებითი წარმომადგენელნი, თუ შეიძლება ასე ითქვას, უფრო გაევროპელდენ, ვინემ თვით ევროპელნი. ახლა აზიური ცხოვრება, რომლითაც რუსეთი წინეთ ცხოვრებდა, მისთვის აუტანელი შეიქმნა. გატაცებულმა თავდავიწყებამდე შრომამ და ევროპის მეცნიერების, კულტურის შესწავლამ, აგრეთვე ერთდროულმა სასტიკმა ანალიზმა თავისი წარსულისა და აწმყოსი, რუსეთს მთლათ შეაძულა თავისი წინანდელი, უმოძრაო, აზიური ცხოვრება; იგი მთლათ დაემონა ევროპის ძალას; ევროპის მეცნიერებამ, ევროპის გენიოსობამ ხელი აალებინა რუსეთს თავის პიროვნობაზე. რუსეთმა უარყო თავის წარსული და აწმყო, დაჰგმო თავისი თავი და შეებრძოლა, რომ სისხლით გამოეხსნა თავი უმეცრებისაგან, რომელშიაც იგი საუკუნოებით იყო დაფლული. ამ დროს გამოჩნდენ უკიდურესნი ფანატიკოსნი „დანგრევის იდეისა“...

ამას შემდეგ, რაღა გასაკვირველია, რუსეთის შეხედულობა აზიის ცხოვრებაზე, აზიურ ერებზე ბრუნდი იყოს? რაღა გასაკვირველია, აზიის საზღვარზე დაბადებულმა, მაგრამ ევროპის მეცნიერებით და იდეებით აზრდილმა პროფესორმა თქვას: აზია, როგორც გონება მიჩლუნგებული, უნდა დაემონოს ევროპას. კიდევ უფრო მეტი, თავისი სიკვდილით-მხოლოთ მარტო სიკვდილით, მოინანიებს, შეისყი-

*) იხ. „კვალი“ № 44.

დის იგი, აზია, თავის ცოდვებს და შეძლებს სარგებლობის მოტანას კაცობრიობისათვის. რაც უნდა იყოს, მე ღრმათ დარწმუნებული ვარ, რომ აზიის და აზიელების ასე აბუჩათ აგდება და უნიჭობის ატესტატის მიცემა რუსეთის მიერ, ამ გამოვლილ რუსეთის მიერ გზას უნდა მიეწეროს. ამის შესახებ მეტს არ ვიტყვი, რადგან ყოვლად შეუძლებელია საგაზეთოთ დამზადებულ წერილში ძირეულათ და ყოველ მხრივ გაირჩეს ეს კითხვა. ვიმედოვნებ მოყვანილ მოსაზრებანიც მისცემენ საშუალებას მკითხველს ჩაუფიქრდეს ამ კითხვას და ან გააფართოვოს ეს მოსაზრებანი, ან სრულიად უარყოს და სხვა გზას დაადგეს...

მე დავასახელე მხოლოთ პირველი მიზეზი. მეორე მიზეზი, ჩემი ფიქრით, კი ის არის, რომ რუსეთმა ჯერ ვერ მოასწრო აზიური წეს-წყობილების ძირეულათ შესწავლა; ჯერ არ ქონია მას დრო ჩაკვირვებოდა ღრმათ აზიის სულს, რომელმაც მოიყვანა აქამომდე ეს მიძინებული ქვეყანა. როგორ? მკითხავს გაოცებული ჩემი მკითხველი. თუ რუსეთი რაღაც ამ ორ ბოლო საუკუნემდე აზიური სახელმწიფო იყო, თუ მან თავის თავის სასტიკ ანალიზს შემდეგ, თავისი აზიური სული რომ შეისწავლა, მას შემდეგ მიიღო მან ევროპული სახე, განა ეს არ ამტკიცებს, რომ მას, რუსეთს, შეუსწავლია ეს აზიური სული? კი, ბატონო! მაგრამ შესწავლაც არის და შესწავლაც! რუსეთი ამ ორი საუკუნის წინეთ აზიურ სახელმწიფოთ რომ ალვიარე, მე ის არ მითქვამს, რომ რუსეთი იყო იდეალური სახელმწიფო აზიისა. იდეალური კი არა, იგი თავისი ისტორიით, თავისი გონების განვითარებით ძლიერ დაბლა იდგა სხვა აზიის სახელმწიფოებთან შედარებით. მხოლოთ მარჯვე შემთხვევამ და რუსეთისათვის მეტათ კეთილ ისტორიულ გარემოებებმა დააყენა იგი განვითარების გზას—ეს ერთი; მეორე პასუხიც მკითხველის გაოცებაზე ის არი ჩემი, რომ ასე ათრთოლებულათ, ასე გაცხარებით თუ ეტანება—კერძო ადამიანი იქმნება იგი, თუ მთელი ერი—ახალ აზრებს, და ამ აზრებს აფუძნებს ძველ მასი სულიერი სიმდიდრის ნანგრევებზე, მაშინ შეუძლებელია ადამიანმა, თუ ერმა, უტყუარი მსჯელობა იქონიოს თავის თავის წინანდელ სულიერ სიმდიდრეზე და ახალ შეძენილზე. რასაკვირველია, რომელი მეტობს, ახალი შეძენილი თუ ძველი სიმდიდრე, იქითკენ გადიხრება მსჯელობის სასწორი, იქითკენ მიიწევს ადამიანის, თუ ერის სიმპატია. ის მდგომარეობა კი, რომელშიაც იყო რუსეთი ამ ორი საუკუნის წინეთ, და ის პირობები, რომელშიაც მოქმედებდა იგი შემდეგ, მას სრულიად ნებას არ აძლევდა ობიექტიურათ გაეჩხრიკა თავისი წარსული და აწმყო. ამიტომაც ვიტყვი თამამათ, თუმცა რუსეთი ახალი გაევროპიელებული სახელმწიფოა, მაგრამ ეს მაინც ისე საფუძვლიანათ არ იცნობს აზიას და მის შინაგან ძალას, თუ უძლურებას, როგორც დანარჩენი ევროპიელები. რუსებს დღესაც არა ყავთ ხეირიანი ორიენტალისტები, რომელთაც რაიმე მხარე აზიის ცხოვრებისა საფუძვლიანათ შეესწავლოთ. ის კი არა, რაც საზღვარ გარეთ დასტამბულა აღმოსავლეთზე (აზიაზე), თუ გინდ შესანიშნავნიც, ისინიც არ არიან რუსულათ გადმოთარგმნილი. რაღა მთელი აზია, ავიღოთ თუნდა ჩვენი მხარე. აბა, მიჩვენეთ ერთი ისეთი რუსული წიგნი, რომელიც ჩვენ გვეხებოდეს და ზღაპარს არ მოგვაგონებდეს. გარდა, რასაკვირველია, კავალევსკის „**Законъ и обычай на Кавказѣ**" სა. აიღებ რუსულ წიგნს, გგონია, რამე სარგებლობას გამოიტან, წაიკითხავ და ზღაპრული ამბებია ჩვენზე. წაკითხვას შემდეგ შეატყობ, რომ ავტორს უბრალო შთაბეჭდილებები ჩაუწერია თავის წიგნში. ან და კიდევ უარესი; მხოლოთ გაგონილი ამბებით შეუმკია კავკასიის შესახებ თავისი „გამოკვლევა".

მესამე მიზეზი.—აქ კი ვეხები რუსების ასეთ მედიდურ, ამპარტავნულ კერძოთ აზრს ჩვენზე. ეს მიზეზი გახლავთ ჩვენი რუსეთთან დამოკიდებულება, შეერთება, როცა მთელი ჩვენი ერი საუკუნოებით ბრძოლაში თვითარსებობისათვის და სარწმუნოებისათვის, მართლაც, მოქანცული, დროებითათ დაუძლურებული იყო. მაშინდელი ჩვენი ეროვნული ძალა დასვენებას საჭიროებდა. ვის არ გატეხს წელში ათასი წლის გამუდმებული ომი! ის კი არა, მიუდგომელი, ნათელ-გონებიანი ადამიანი მუხლს უნდა იყრიდეს ამ პატარა ერის წინაშე, რომელსაც გარდა თავის ჭკუისა და მკლავის ძლიერებისა, დამხმარე არვინ ყავდა და მაინც მოაწია მეცხრამეტე საუკუნემდე. ბევრი თუ მოიპოვება ისტორიაში ასეთი ერი, როგორც ბ. ცაგარელი წერს თავის ბოლო თხზულების ერთ ადგილში, ბევრი გამქრალა, ქართველ ერზე უფრო ძლიერი, მაგრამ აქამომდე მოუწევია ქართველ ერობას და არა შიშველს, ტიტველს, როგორც ველურ ხალხებს, რამედ თავისი ეროვნული კულტურით, თავისი სულიერი სიმდიდრით, რომელნიც გამოიხატებიან მის ლიტერატურაში, ხელოვნებაში. აი, ჯერ რას უნდა შესწავლა, მერე კი კიცხვა, ან პატივისცემა ერისა. მაგრამ ჯერ ჩვენი ქვეყნის ნამდვილნი შემსწავლელნი არ აღმოჩენილან რუსეთში. ვინც მართლაც შრომის მოყვარეა, ვინც ჭეშმარიტების მეძიებელია, ის უფრო გონებითი მდიდარ ერთა ნაწარმოების შესწავლას უნდება; ჩვენში კი კარიერისტები, მადა განდიდებულ-

ნი ჩამოდიან; მიიხედ-მოიხედვენ მოწყალების თვალით, გაირბენ-გამოირბენენ ერთი კუთხიდან მეორე კუთხემდე, მოუჯდებიან შემდეგ მაგიდას და ერთ ორ თვეში, კავკასიის გამოკვლევა გამოცხობილია; ველურებათ აღსარებულნი კავკასიელნი, გადადიან ერთი რუსის მკითხველიდან მეორეზე. ნუ თუ ამას ქვიან „გამოკვლევა“ და ადგილობრივ უტყუარ ცნობების შეკრება, ხალხის წარსულის და აწმყოსი შესწავლა? ამას ისიც დაურთეთ, რომ რაკი ჩვენ რუსეთთან შეკავშირების დროს, ჩვენი უნივერსიტეტები არ გვქონდა, ჩვენი პროფესორები არ გვყავდა, მაშინდელ ევროპული ისტორიული მსვლელობისა ცოტაღა გაგვეგებოდა, რუსეთის მეცნიერების აზრით, ჩვენ უნდა თანასწორი ვყოფილიყავით ეროვნულ გონებრივ ზრდაში ველურებთან. მათ ერთი რამ დაავიწყდათ, რომ ლოგიკის კანონები ერთი და იგივეა. თუ ერს ისტორიული გარემოებები ხელს შეუწყობდენ, ევროპის მიერ შექმნილს მგზავს რასმე შექმნიდა იგი ერიც. ჩვენი ისტორიული გარემოებები მათ არ შეუსწავლიათ, მაშასადამე მათი აზრნი მეცნიერულ სიმტკიცეს მოკლებულნი არიან. მაგალითიც ცხვირ წინ გვიდევს—სენკოვსკი, პატკანოვი და, თუ გინდათ, იგივ ბოროზდინი! ერთი მოსაზრებაც და კმარა ამის შესახებ. საზოგადო მსჯელობაში დიდი მნიშვნელობა აქვს ერის რაოდენობას და ამ ერის მიერ დაკავებულ ტერიტორიის სივრცეს. ერთიც და მეორეც ჩვენი არავის გააკვირვებს.

მეოთხე და უკანასკნელი მიზეზი არის ჩემი ფიქრით ეროვნული ხასიათის განსხვავება. მე აქ ვღებულობ მხედველობაში—ქართველ ერს და რუსისას. ამ ორ ერში ისეთი ღრმა განსხვავებაა ხასიათებისა, რომ მათი შედუღება—ჩემი ღრმა რწმენაა ეს—ყოვლად შეუძლებელია. ის უმთავრესი ძალა, რომელიც ასხვადასხვავებს კაცობრიობას და რომელსაც ეწოდება ბუნება ერთობ სხვა-და-სხვაა რუსეთში და საქართველოში. ამას ისიც მიუმატეთ, რომ ქართველი ერი მოუმზადებელი არ შეკავშირებულა რუსეთთან. როგორც ვთქვით, ქართველ ერს ქონდა თავისი კულტურა, თავისი ენა, თავისი მწერლობა, რომლის გაქრობა ვერ ძალუძს ვერავითარ სულიერს. ერთი რომელიმე მხარე აქ ჩამოთვლილებში რომ ქონოდა ქართველებს სუსტი, მაშინ კიდევ, ჰო, შეიძლებოდა დაძლევა ამ სუსტ მხრისკენ, მაგრამ განვითარებული ქართული ენა აიტანს სხვა ენასთან ბრძოლას. ასეც რომ არ იყოს, ქართული ენა შეზავებულია მთელ საქართველოს გარეგან ბუნებასთან; შეზავებულია აგრეთვე ქართველის სულიერ ბუნებასთან. გარეგანი ბუნება, ადამიანი, მისი ენა—ერთათ გარმონიულათ შეწყობილნი არიან, მათი დაშორება შეუძლებელია. გამოცვალე ბუნება, გამოცვალე ადამიანი, აღგავე ადამიანის გულიდან საუკუნოებით შეზრდილი მისი ბუნება, მისი ისტორიული წარსული, თუ აწმყო; ერთი სიტყვით, რისგანაც იგი შედგება, მოაცილე და მაშინ მოიცილებ მას, მის ენას. მაგრამ დღეს ვისი ხელი ამაღლდება ძმის, ადამიანის მოსაკლავათ? ქრისტეს სარწმუნოება კვლავ ბრწყინავს და სანამ ქვეყანა ქვეყნათ იქნება, ისევ ნათლათ იბრწყინებს ღვთაებრივი ჭეშმარიტება!

გუდუ თოფურია.

---

ნ. ბარათაშვილის ლექსები და წერილები. გამოცემა მეხუთე. ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამოცემა. 1895 წ.

ამ საუკუნის დასაწყისს ჩვენი ერის ცხოვრება ისე დატრიალდა, რომ სრულებით გაწყდა კავშირი წარსულსა და აწმყოს შორის. წარსულ თანამედროვე ცხოვრებას აღარ შეესაბამებოდა, აღარ შეეფერებოდა და არც ეხერხებოდა, აწმყო კი გამოურკვეველი და დაუდუღებელი იყო. ასეთ გამოურკვეველ დროს ერის უმეტესი ნაწილი საზოგადოთ ხელის აუქნევს ხოლმე ყოველსავე ადამიანურს, სავაჟკაცოსა და მამულიშვილურს და სრულებით სასო წარკვეთილი, იმედ-მიხდილი ეძლევა კაცის დამამცირებელსა და შემბღალველ მოქმედებას. ჩვენშიაც ასე მოხდა.

მართლაც ამ დროს უმეტესი ნაწილი ჩვენი ერისა, თითქოს გონება დაჰკარგაო, სისხლის მორევში ცურავს, ომში ატარებს დროს და სხვისათვის თავის მონათესავე მთიულებს იმონებს. ამ დროს ყველა—დიდი და პატარა—მხოლოთ მხედრობაზე და ომიანობაზე ფიქრობს; აღარ ჰგონია, რომ სხვა ასპარეზზეც სავაჟკაცო რამ მოიპოვებოდეს. წარმოიდგინეთ, ჩვენი უნიჭიერესი პოეტიც—ნ. ბარა-

თაშვილი ამ სურვილით იყო შეპყრობილი. აქვე, ამავე დროს სისხლის მორევში მცურავთა გვერდით ერის მეორე ნაწილი დღეს მით ალამებს და ღამეს მით ითენებს, რომ ქეიფობასა და განუწყვეტელ ლხინს ეძლევა,—და ასე იმიტომ იქცევა, რომ რა არის თვალი აარიდოს აწმყოს, მომავალზე აღარ იზრუნოს და სასო მოსპობილი სრულს დავიწყებას მიეცეს. ამ მეორე რიგის ადამიანთა დამახასიათებელია ალ. ქავჭავაძე...

ხოლო ამავე დროს, ამ „ჟამთა სიავის“ გამო გულმოკლული მამულიშვილი, უმეგობროთ, უთანამოაზრეთ დაშთენილი „სული ობოლი“ მარად ითმენს უნუგეშობას. იგი ყველას და ყოველსავე განშორებია და მხოლოთ თავის თავს აკვირდება. ასე უნუგეშო მდგომარეობის მიზეზს იგი ეძიებს თავის სულსა და გულში; „ხმა იდუმალი“ მარად გულსაკლავათ ჩაძახის მას ასეთ აუტანელ მდგომარეობას და მით აასკეცებს მის სულის კვეთებას, ქენჯნის მის სინიდისს. მაგრამ მიზეზი სულ სხვა რამ ყოფილა— და პოეტი სრული გულ-წრფელობით ამბობს:

„მაგრამ მე ჩემში ვერ ვპოვებ ავსა
„მის საშფოთველოს და საქენჯნავსა!“.

რადგან ასეთ კაცს მამულიშვილური გრძნობით გულდათუთქულს და მოქალაქეობაზე მარად მზრუნავს „სწორთა თანზრდილთა, მეგობართ შორის“ ტოლი აღარ ჰყავს, იგი ბუნებას მიკედლებია და მას ჩაჰკვნესის, მას მოუწოდებს, რათა გაკურნოს იგი და მის დაიარაევებულ გულს მალამო დაადვას. აქ, უტყვსა და უასაკო ბუნებაში სევდიანი ჰლამის ფიქრით გაერთოს. მაგრამ უტყვი ბუნება მას თვის გულს არ უშლის და შიგ არ ახედებს. პოეტი გულამოსკვნით გაიძახის:

„ვინ იცის, მტკვარო, რას ბუტბუტებ, ვისთვის რას
იტყვი?
მრავალ დროების მოწამე ხარ, მაგრამ ხარ უტყვი!..“

ან-და ესევე ბუნება უფრო საიდუმლებასა და მიუწდომელობას წარმოუდგენს პოეტს და ამით პოეტის გულს უფრო ასევდიანებს, უფრო ანაღვლებს:

„გულის-თქმა ჩემი შენს იქითა... ეძიებს სადგურს,
„ზენაართ სამყოფს, რომ დაშთოს აქ ამაოება...
„მაგრამ ვერ ცნობენ გლახ მოკვდავნი განგებას
ციურს!“

რადგან ბუნება ასე მიუწდომელი და პირ-შავია და პოეტის აშფოთებულ სულს ვერ ამშვიდებს მის გულს ვერ იერდომებს,—ამიტომ პოეტი წარსულს მიაშტერებს თვალს. ამ წარსულის მოგონებით უნდა მოიბრუნოს სული და დაიმშვიდოს მღელვარება. მაგრამ ამაოდ! სევდა და ნაღველი არც აქ შორდება. და ეს ამიტომ მოხდა, რომ პოეტს ძალი და ღონე შესწევს, მისი არსება დღეს-დღეობით თხოულობს მოქმედებას, საქმეს საგმიროს: წარსული კი მხოლოთ მოგონებაა, ნელი მოქმედება.

ამნაირათ პოეტი, მამულიშვილური გრძნობით აღტყვევნილი, ხედავს, რომ იგი მოკლებულია თანა მეღროვეთ თანაგრძნობას; ბუნება მას არ იერდომებს და არ ითვისებს, წარსული მხოლოთ მოქმედების სურვილს უღვიძებს და მოქმედებას აქტიურს კი არ ანიჭებს, და ამით უფრო ბასრავს პოეტის გულს. ასეთ მდგომარეობაში სრულებით ძალამიხდილი პოეტი უკანასკნელათ კიდევ მოიკრებს ღონეს და სრული თავ-დავიწყებით ისწრაფის განშორდეს გარშემორტყმულ არეს, მიდამოს და მინებდეს თვის მერანს, რომ მან კლდენი და ღრენი გადაატაროს; მას აღარ სურს დაიმარხოს თავის მამულში, წინაპართ საფლავთა შორის.

ასეთ ტრაგიზმში ჩააყენა ჩვენმა ცხოვრებამ უკეთესი მამულიშვილები. ამ უკანასკნელთა სულის კვეთების სრული და უნაკლულო გამომთქმელია ნ. ბარათაშვილი. მაგრამ მის პოეზიას სრულს სასოწარკვეთილებამდე მაინც არ მიუღწევია და იმედი არ მოუსპია, თუმცა პოეტის ქნარი მუდამ „კაეშნის ხმაზე“ დამღერის. სასოება კვლავ ათბობს გულს პოეტისას:

„ჰჰი სასიერო, რად წარვიკვეთ მე სასოებას:
პირველ უმანკომ თვით ადამმაც სცოდა შენს მცნებას“.

პოეტს უნდა გადიკარგოს, მიდამოს განშორდეს, მაგრამ იმ იმედით კი, რომ მისი განწირული სულის კვეთება ცუდათ არ ჩაივლის, სხვას გზას გაუთელავს და შემდგომათ მოძმეს გზის სიძნელეს გაუადვილებს. მართალია, პოეტის გული „საწუთროს“ ცხოვრებამ მოწამლა, მაგრამ იგი მაინც ამ ცხოვრების მოყვარულია და გატაცებულია იმ სურვილით, რომ ეს ცხოვრება გააუმჯობესოს:

„არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს;
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს!“

პოეტი მზათ არის შეწიროს თვისი სიცოცხლე და არსება თავის სატრფოს რომელიც ასე ღრმათ უყვარს:

„შევიშრობ ცრემლსა, ჭირთ მანელებელს,
გულსა დავიწვავ დასანაცრებელს,
და მისსა ფერფლსა, ვითა საკმეველს,
შევსწირავ სატრფოს, ჩემსა სალოცველს!“

მოკლეთ ეს არის ხასიათი და ნიშნობლივი თვისება ნ. ბარათაშვილის პოეზიისა. პოეზია მისი

ღრმა და ძლიერია ისე, როგორც თვით მისი ,,სულის კვეთება‘‘; ,,მსახვრალია‘‘ ისე, როგორც თვით ,,სული ბოროტი‘‘; დამაამებელია ისე, როგორც ის ,,ლამპარი წმიდა‘‘, რომელიც პოეტს განუთბობდა გულსა ციური სხივით.

ნ. ბარითაშვილმა ჩვენს პოეზიაში ახალი კვალი ალბექდა და მას ახალი თვისება-ლირიზმი-შესძინა. მის მიერ ახლათ გაკვლეულ გზას დაადგენ ჩვენი უკეთესი პოეტებიც...

9-ს ამ თვეს შესრულდა 50 წელი მას შემდეგ, რაც ეს დიდებული პოეტი გარდაიცვალა. ამ ხნის განმავლობაში მისი თხზულებანი მხოლოთ ოთხჯერ გამოიცა—ისიც არა სრულათ და ულაზათოთ. 1893 წ., როცა პოეტის ნაშთნი განჯიდან თბილისს იქნა გადმოტანილი, ნათესავებმა პოეტის ნაწარმოებთა გამოცემის ნება დართეს ,,ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას‘‘. ამ ამბავმა მთელ ქართველ საზოგაოებას დიდი სიამოვნება და იმედი აღუძრა ყველა ფიქრობდა, რომ ასე დარბაისელი და პატივცემული საზოგადოება ზედმიწევნით შეასრულებდა ამ თავის თავზე მიღებულ შრომასა და მოვალეობას. მაგრამ, როგორც ყველაფერში, აქაც ბედმა გვიმტყუნა და მოლოდინი არ გაგვიმართლდა. საზოგადოება ერთობ გულგრილათ და გულციეთ მოკიდებია საქმეს. პოეტის ბიოგრაფია ორიოდე სიტყვით არის მოთხრობილი. დალოცვილებს, თუ თვითონ მის მეტი არ იცოდენ პოეტის ცხოვრებიდან, რაც ყოველმა ჩვენგანმა იცის, ბ. ი. მეუნარგიას ბიოგრაფიული ცნობანი მაინც დაესტამბათ სიტყვა-სიტყვით. შეიძლება ეს საჭიროთ არ დაინახეს, მაგრამ, ვარწმუნებთ საზოგადოებას, რომ იგი ამ მხრით, ძლიერ შემცდარია, რადგან მკითხველთათვის ბ. ი. მეუნარგიას ბიოგრაფიული ცნობანი პოეტზე მიუწდომელნი არიან. აგრეთვე საზოგადოებას დიდი შეცდომა მოსვლია, რომ ნ. ბარათაშვილის ლექსების კრიტიკულათ გარჩევა და განხილვა, რაც დღემდე დასტამბულა, არა თუ არ გადმოუსტამბია, არამედ არც კი მოუხსენებია. ჩვენ კი გვგონია, რომ ეს აუცილებლათ საჭირო იყო. რასაკვირველია, პირველ შემთხვევაში წიგნი უფრო სქელი იქნებოდა და უფრო ძვირათაც ეღირებოდა, მაგრამ ამ ნაკლულევანებასთან ის ღირსება მაინც ექნებოდა, რომ მკითხველს ერთათ ექნებოდა, როგორც პოეტის თხზულებანი, ისე ჩვენი კრიტიკოს-პუბლიცისტების აზრიც ნ. ბარათაშვილის პოეზიაზე და მის მნიშვნელობაზე.

მაგრამ ეს კიდევ არაფერი. საზოგადოება რომ გულ-ციეთ მოპყრობია გამოცემის საქმეს, ეს იქიდან ჩანს, რომ მართლ-წერისათვის საჭირო ყურადღება არ მიუქცევია, ზოგან ლექსი გადუმახინჯებია და აზრიც კი შეუცვლია.

მაგალითებისათვის შორს წასვლა არ დაგვჭირდება. „მაშინ ვიდამ ჰსთქვას მათი საქმე, ვინ სადღა იყოს ეს ,,ვიდამ‘‘ ნეტავ რა ენაზეა ნახმარი? საზოგადოება სრულებით ყურადღებას არ აქცევს იმ გარემობას, რომ პოეტი ჰ-ს შეცდომით ხმარობს. ამ შემთხვევაში საზოგადოებას სრული უფლება ჰქონდა და მოვალეც იყო შეცდომა გაესწორებინა. მაგ. ჰსთქვას, მჰსწრაფლი—და სხვა. აქ ჰ ყოვლად უადგილოა. გარდა ამისა პოეტი ზმნების მრავლობითი რიცხვის მესამე პირის დაბოლოვებაში ყოველთვის ხმარობს ,,დენ და არა ,,დნენ‘‘. გამომცემელ საზოგადოებას კი ეს, ორი დაბოლოვება აურ-დაურევია და ხან ერთს ხმარობს და ხან მეორეს. არეულათ არის აგრეთვე ნახმარი სიტყვანი: თვის, თვისს; მის, მსს. პოეტი არა ერთხელ სიტყვას ,,გულის-თქმა‘‘-ს ხმარობს, ,,გულის ვნებას‘‘ კი არასოდეს. გამომცემელ საზოგადოებას კი ვერ მოუთმენია და პოეტისთვის ,,გულის ვნებათა‘‘ (გვ. 45) უთქმევინებია—რატომ უნებებია ასე?—ეს ერთმა ღმერთმა უწყის მხოლოთ. ბევრი ამ გვარი შეცდომებით აღუვსია საზოგადოებას ნ. ბარათაშვილის თხზულებანი. მაგრამ ყველას აქ ვინ ჩამოთვლის: მაშინ მთელი წიგნის გადმობეჭდვა დაგვჭირდებოდა. მაგრამ შემდეგი შეცდომები რომ არ აღვნიშნოთ, არ შეგვიძლია: ნაზად მოვარე (გვ. 5), წყალის პირს (გვ. 9), ისი ეკმაროს (გვ. 9), გარდაიწყვიდა გულმან ირაკლის (გვ. 40), სამღვარი (გვ. 57 და 58); დღისით მზევ, ღამე მთოვარევ (გვ. 76); დამქროლა ქარმან სასტიკმან, თან წარმიტანა ყვავილი და სხ. ზოგან ლექსი ისე არის გადამახინჯებული, რომ აზრი ირყვნება და მუსიკა ელფერს ჰკარგავს. მაგ.

,,მისი ფიქრია, თუ ვით უკეთ მან უპატრონოს
თავისს მამულსა, თვისთა შვილთა, რომ შემდგომსა დროს
არ მისცეს წყევით (?!) თვის სახელი შთამამავლობას!..
მაგრამ თუ ერთხელ სოფელსაც უნდა ბოლო მოეღოს,
მაშინ ვიდამ ჰსთქვას მათი საქმე, ვინ სადღა იყოს?‘‘

აქ მესამე ლექსში უნდა იყოს წყევად და არა წყევით; მეოთხე ლექსში კი უნდა იყოს სოფელს და არა სოფელსაც, თორემ მუსიკა ირღვევა, რადგან ამ ლექსში ionicus a majore-ს (ა—აა) ნაცვლათ ნახმარია pirricho-dactil-ი (აა—აა).

,,ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას‘‘ არ ეკადრებოდა მართლ-წერას ასე მოქცეოდა და ნ. ბარათაშვილის თხზულებას ასე გულციეთ არ უნდა მოპყრობოდა.

ფვხა



ოქროს მეძიებელნი

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

# განცხადებანი

სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი

## „კ ვ ა ლ ი“

გამოვა 1895 წელს ყოველ კვირაში ერთხელ ერთიდან სამ თაბახამდის

რედაქცია ყოველ ღონისძიებას ხმარობს გაამჯობესოს შინაარსი და სახე გაზეთისა, ამ განზრახვით მან დაიბარა პეტერბურგიდან მრავალი საუკეთესო ცინკზე და სპილენძზე მოჭრილი მხატვრობა.

გაზეთი წლიურად ღირს გაუგზავნელად 7 მანეთი, ხოლო გაგზავნით 8 მანეთ. ნახევარის წლის გაუგზავნელად 3 მან. 50 კაპ., გაგზავნით 4 მანეთ. სამი თვისა გაუგზავნელად 2 მანეთ, გაგზავნით მანეთი. თითო ნომერი აბაზათ. ხელის მომწერლებს წლის ფული შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გამოგზავნონ.

### ხელის მოწერა მიიღება

ტფილისში არწრუნისეულ ქარვასლაში: „ქართულ სახალხოსამკითხველოში“, „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში“ და თვით „კვალის“ და „ჯეჯილის“ რედაქციაში. (Артиллер. ул. д. Тамамшева, возлѣ кадетскаго корпуса).

ქალაქს გარეშე ხელის-მომწერთა შეუძლიათ მიმართონ: ქუთაისში: თ. კირ. ბეჟან. ლორთქიფანიძეს და ვ. ბეჟანეიშვილისა და ძმათ წერეთლები წიგნის მაღაზიებში:—ბათუმში: მათე ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთის სააგენტოში და პავილიონში გერ. კალანდაძესთან.—თიონეთში: ივ. თ. ჩიბალაშვილს.—გორში: ზაქარია დავიდოვთან და ეკ. ფურცელაძესთან—ჭიათურაში: თედორე კიკვაძესთან ყვირილაში: თ. ხუსკივაძესთან, —ახალსენაკში და ოზურგეთში: კ. თავართქილაძესთან.—ხონსატუსში: მიხ. ჯიბლაძის წიგნის მაღაზიაში. —სახხერეში: ყარამან ჩხეიძესთან.—თელავში: მ. ცისკარაშვილთან.

ვინც „ჯეჯილსა“ და „კვალს“ ერთად დაიბარებს, მათთვის წლიურათ ეღირება გაუგზავნელათ 10 მან., ხოლო გაგზავნით 12 მან. კერძო განცხადება დაისტამბება სხვა-და-სხვა ენაზე.

Доз. ценз. Тифлисъ, 21-го Октября 1895 г. (§) Тип. М. Д. Ротиніанца (სტამბა, მ. დ. როტინიანცისა) Гол. пр., 41